ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათობით №44 (1745) 25 - 30 ნოემბერი, 1999 წ. ● ფასი 50 თეთრი

## საგარეო პოლიტიკის ხუთიანს საშინაო პოლიტიკის ორიანი ჩრდილავს...





მეორე გვერდი

*ჰამლეტ ჭიპაშვილი:*

## აბსოლუტური უმრავლესობის მიღწევა პარლამენტში დიქტატორული რეჟიმის მომასწავებელია...



მესამე გვერდი

## „დიდების ზღაპარმა“ პარლამენტში არ გადაინაცვლოს...

მესამე გვერდი





## ვისი მტერია სიმართლე?

მეორე გვერდი

### გვახსოვდეს აფხაზეთი

## საქართველოში ზედმეტად ქცეული ადამიანების ტკივილი

მეცხრე გვერდი

## ნავთობსადენი ჯერ აგვაშენებს და მერე დაგვაქცევს?!

მეორე გვერდი

9

## ლავრენტი ბერიას ცხოვრების უკანასკნელი დღეები



8

## რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობები ცივი ომის პერიოდში



## ეროვნული პარკების მშენებლობა საქართველოში ანუ ქვეყნის რეგენერაცია თუ დეგენერაცია?

მეთქვსე გვერდი

ელექტრონული ვერსია Http:// www.opentxt.org.ge/sakartvelo

საქართველო

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### „კოკა-კოლა“ 140000 დოლარით დააჯარიმეს



ორწლიანი დავის შემდეგ „კოკა-კოლამ“ სასამართლო პროცესი მაინც წააგო. სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით, „კოკა-კოლას“ 140000 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში გადახდა დაეკისრა მხატვარ დიმიტრი ცუცქირიძისათვის, რომელიც 1997 წელს უბედური შემთხვევის შედეგად „კოკა-კოლამ“ მეორე ჯგუფის ინვალიდად აქცია. თუმცა აქ გამაგრილებელი სასმელის მავნე ქიმიური შემადგენლობა არაფერ შუაშია. მხატვარ ცუცქირიძეს გმირთა მოედანზე ფირმის სარეკლამო სტენდი დაეცა და იმან დააზარალა.

### აფხაზეთის დასაბრუნებლად ჩეჩნებთან ომიღა გვაკლდა!



აფხაზეთში ჩეჩენთა ჩასახლება ჯერ კიდევ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ დაიწყო. მაშინ ეს პროცესი აფხაზეთისგან დამოუკიდებლად წარიმართა, ახლა კი აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა მტკიცებით, სეპარატისტული მთავრობა ჩეჩენ დევნილთა გალის რაიონში ჩასახლებას სპეციალურად უწყობს ხელს. აფხაზეთის დასაბრუნებლად კი აწი მარტო სეპარატისტებთან კი არა, ჩეჩენ დევნილებთანაც მოუწევთ ბრძოლა ქართველებს საკუთარი სახლ-კარის დასაბრუნებლად.

### ნავთობსადენი ჯერ აგვაშენებს და მერე დაგვაქცევს?!

მგონი გვეშველა! როგორც იქნა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის



ნავთობსადენის მშენებლობის საკითხი დასრულდა და თანაც სასიკეთოდ. ნავთობსადენი ან აგვაშენებს, ან დაგვაქცევსო,- ხშირად ნახევრადხუმრობით ამბობენ ჩვენში, უფრო სარწმუნო იქნებოდა, რომ ეთქვათ, ჯერ აგვაშენებს და მერე დაგვაქცევსო.

დაქცევისა ჯერ რა მოგახსენოთ, თუ ყველა იმ სიკეთეს გავითვალისწინებთ, რაც ნავთობსადენს შემოჰყვება საქართველოში, მგონი ჯერჯერობით არც ისე სავალალოდ და საგანგაშოდ უნდა გვქონდეს საქმე. აი, ეკოლოგებს თუ ვერწმუნებით, განგაშის ზარების შემოკვრა თურმე 10 წლის შემდეგ მაინც მოგვიწევს. მაგრამ ნათქვამი ისიცაა, ხვალემ იზრუნოს ხვალისაო. დღეს კი დღევანდელ კვერცხს მაგრად ჩავჭიდოთ ხელი!

### საფრთხედ დარჩენილი რუსეთის ორი სამხედრო ბაზაც გვეყოფა!

ბოლო წლების განმავლობაში ყბადაღებული საკითხი რუსეთის ბაზების შესახებ, როგორც იქნა, დღის წესრიგში დაისვა.



პრეზიდენტმა შევარდნაძემ არჩევნებში მხარდამჭერის სანაცვლოდ სიურპრიზი გაუკეთა ქართველებს და დიდი ხნის ნანატრი ოცნება აუსრულა. 2001 წლის 1 ივლისამდე ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების საერთო დაშლასა და ჩვენი ქვეყნიდან გატანის შესახებ თურქეთში ხელმოწერილი დოკუმენტის უდიდეს მნიშვნელობაზე ნეტარად საუბრობენ საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. რაც შეეხება დანარჩენ ორს –

# საგარეო პოლიტიკის ხეთქანს საშინაო პოლიტიკის ორიანი ჩრდილავს

დემოკრატიულ ქვეყნებში პრესის პოზიცია ობიექტურობა, ანუ სიმართლის საჯაროდ თქმა გახლავთ. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც ქართული პრესა უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიამდე, მისი კლასიკური გაგებით, ჯერ საკმაოდ შორს ვართ. გაზეთ „საქართველოს“-აც, რომელსაც მიმდინარე წლის ოქტომბერში დაფუძნებიდან 10 წელი შეუსრულდა, ტრადიციულად მოსდგამს პირუთვნელობა, სიმართლის საჯაროდ გაცხადება და ამა თუ იმ მოვლენისადმი, ფაქტისადმი ობიექტური მიდგომა, თუმცა გარკვეულ მომენტებში, შესაძლოა, მცდარი პოზიციაც დაეფიქსირებინა ან დააფიქსიროს გაზეთმა, მაგრამ ეს წინასწარ გამიზნულ, შეგნებულ ნაბიჯად არ უნდა ჩაითვალოს, უფრო შეცდომებად, მოვლენათა თუ ცალკეულ ფაქტთა სწორად ვერ აღქმის, გააზრების მიზეზად უნდა მივიჩნიოთ.

ეს პატარა შესავალი იმისათვის დაგვჭირდა, რათა „საქართველოს“ ტრადიციულმა მკითხველმა გაიცნობიეროს, რომ გაზეთის ფუნქცია ქრონიკული ოპოზიციონერობა ანუ ჩასაფრებული კაცის პოზიცია არ არის და იმ ხელისუფლებას, რომელსაც გაზეთი მწვავედ აკრიტიკებს ხოლმე მისი უნებლიე შეცდომებისა თუ ზოგჯერ შეგნებული დანაშაულების გამო, ისიც არ უნდა დავუკარგოთ, თუ რამ კარგი გააკეთა ან გააკეთებს მომავალში.




ამჯერად მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ჩვენი ქვეყნისათვის მართლაც ეპოქალური მნიშვნელობის სამიტზე, რომელიც გასულ კვირას შედგა სტამბულში და სადაც საქართველომ, მისმა პრეზიდენტმა, მართლაც რომ დიდი გამარჯვება მოიპოვა ქვეყნის საგარეო კურსის განსაზღვრის საქმეში ახალ, ოცდამეერთე საუკუნეში.

მსოფლიოში გავლენის სფეროთა გადანაწილების პროცესი, რომელსაც ხშირად ლოკალური კონფლიქტებიც სდევს თან და ათასობით ადამიანიც ეწირება მსხვერპლად, საბედნიეროდ, ამ ეტაპზე საქართველოსთვის, შეიძლება ითქვას, მშვიდობიანად დამთავრდა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებმა სტამბულის სამიტზე მიღებული ხელშეკრულებით ცალსახად აღიარეს მათი პოლიტიკური ინტერესები და აშკარად მიანიშნეს რუსეთს, რომ საქართველო და მასთან ერთად მთლიანად კავკასია დასავლური სამყაროს ინტერესთა არეალშია მოქცეული. სამიტის დამაგვირგვინებელი ეტაპი დამთავრდა იმ შეთანხმებებით,

გაგრძელება მე-4 გვ

# ვისი მტერია სიმართლე?

დაეწია და გაასწრო კიდეც ჩვენმა სახელმწიფომ დემოკრატიულ ქვეყნებს. თურმე ჩვენი პროექტები, ჩვენი მიღწევები სოციალურ თუ პოლიტიკურ



სფეროში, ბევრი სახელმწიფოსთვის დემოკრატიული აღმშენებლობის მაგალითად ქცეულა. ჩვენმა აყვავებულმა ქვეყანამ, ჩვენმა ხელისუფლებამ, უმრავლესობამ პარლამენტში, მოქალაქეთა კავშირმა პირნათლად შეასრულა წამყვანი ქვეყნების ყველა რეკომენდაცია, თუმცა არც თავისი ორიგინალური რეფორმების გატარებაზე უთქვამს უარი. მარტო ის რად ღირს, რომ მთელი სახელმწიფოს ქონება ჩვენს ხალხს უსასყიდლოდ გადაეცა ვაუჩერის სახით. ბოროტ ენას რა გამოლევს ამ ქვეყნად, თორემ რა დასაჯერებელია, ასეთი გულუხვი ხელისუფლება ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას რომ ეწეოდეს?

შიმშილისაგან, სიცივისაგან, სილატაკისაგან დაბეჩავებული და ფსიქიკადარღვეული მოსახლეობა, მთელი გულისყურით ისმენს სატელევიზიო აგიტატორების იმედიან გამოსვლებს, საიდანაც მიძღვრავენ: შენ ხარ დემოკრატიული საქართველოს თავისუფალი მოქალაქე, სახელმწიფო ზრუნავს შენზე, სახელმწიფოს ახსოვხარ შენ.

ამის შემდეგ უფრო იოლია ნახევრად მშიერი ადამიანის საშოვარზე გასვლა, უფრო ადვილია გაჩერებაზე დიდხანს დაელოდო გადაჭედილ, იაფ ავტობუსს, უფრო ადვილია თვალი აარიდო ბაზარში გამყიდველის სასწორს, რათა თავი ნებით მოატყუებინო შენზე უფრო გაჭირვებულ ადამიანს და უფრო იოლია ქუჩის მუსიკოსის ან მათხოვრისათვის ორიოდე გროში გაიმეტო.



ჩვენ, ქართველები, საკუთარ თავზე იმდენს არ ვფიქრობთ, რამდენსაც პრეზიდენტზე. მოგეხსენებათ, სამოცდაათ წელს გადაცილებული მოხუცები როგორი ჭირვეულები ხდებიან, ზოგს მეხსიერება ღალატობს, ზოგიც ბავშვობის წლებს უბრუნდება, რა გასაკვირია, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა უნებურად მოაწერა ხელი რამოდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს, რითაც სახელმწიფომ უზარმაზარი ზარალი განიცადა. ასეთი იყო, მაგალითად, როგორც ამბობენ, გემების გაყიდვაზე მიცემული დასტური ან პარლამენტის გვერდის ავლით „ესენგეს-თან“ კავშირის დამყარება. ჩვენი პრეზიდენტი ისე მიეჩვია კავშირებს, რომ ძნელია ამ ასაკში ამ ტკბილ ჩვეულებაზე უარი ვათქმევინოთ. ბავშვობიდანვე იზრდებოდა პიონერთა კავშირში, შემდეგ კომკავშირში, იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ახლა მოქალაქეთა კავშირია. ღმერთმა იცოდეს, რამდენი კავშირის ხელმძღვანელი ყოფილა და იქნება ჩვენი სათაყვანებელი, მისი აღმატებულება ბატონი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე.

ასეთ უდიდეს პიროვნებას სამანადოდ არ ვაფასებთ, რა სათვალავში ჩასაგდებია, თუ მისი მმართველობის

გაგრძელება მე-4 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერვიუ

### ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# აბსოლუტური უმრავლესობის მიღწევა პარლამენტში დიქტატორული რეჟიმის მომასწავებელია

*– არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე „აღორძინება“ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლას აპირებდა. მოპოვებული ხმების ოდენობით, ცხადია, კმაყოფილი ვერ იქნებით. თქვენს მიზანს ვერ მიაღწიეთ. აწი რას აპირებთ?*

– ჩვენ, სიმართლე რომ გითხრათ, მართლაც ვერ მივაღწიეთ იმას, რაც მიზნად დავისახეთ. თუმცა, ამას ბევრი სუბიექტური მიზეზი განაპირობებდა გამომდინარე არჩევნების დროს მომხდარი გაყალბებიდან, ელექტორატზე უაღრესად მძიმე პრესიდან. რასაც მივაღწიეთ, ეს გახლავთ ზღვაში წვეთი, რასაც ჩვენ ვისახავდით მიზნად. ჩვენ ვაპირებდით გამარჯვებას, მაგრამ არა ისეთს, როგორსაც გაყალბებით მიაღწია მოქალაქეთა კავშირმა; აბსოლუტური უმრავლესობის მიღწევა პარლამენტში დიქტატორული რეჟიმის მომასწავებელია.

პრეზიდენტმა არჩევნებამდე ბრძანა, თუ „აღორძინება“ მოვა უმრავლესობაში, ეს იქნება საპარლამენტო და საპრეზიდენტო გადატრიალება. მისი სიტყვები ასრულდა, ოღონდ ამ შემთხვევაში საკუთარი პარტიის მისამართით.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ისინი დღეს უმრავლესობაში არიან, მათ შეუძლიათ ორგანული კანონების მიღება... ჩვენ მაინც ყველანაირად შევეცდებით, ახალ პარლამენტში მაქსიმალურად დავსვათ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საკითხები. რა გამოვა, მომავალი გვიჩვენებს... ჩვენ



მზად ვართ, ამას ხშირად ამბობს ბატონი ასლან აბაშიძე, რომ ვითანამშრომლოთ თუნდაც მოქალაქეთა კავშირთან. მე მგონი, წინ მეტად საინტერესო პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მომენტები გველის. ჩვენ მზად ვართ, ვილვაწოთ საქართველოს სიკეთისათვის, უკეთესი მომავლისათვის...

*– ბატონო ჰამლეტ, წინა პარლამენტში გაცილებით მეტი „აღორძინების“ ნამდვილი წევრი იყო, ვიდრე დღეს არის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „აღორძინებამ“ წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები წააგო? ცხადია, მიღებული შედეგების მიხედვით ამას გამარჯვებას ვერ ვუწოდებთ, მით უფრო, თუ ბათუმური ბლოკის სიჭრელეს გავითვალისწინებთ.*

– არა, ეს დამარცხება არ არის. ჩვენ არჩევნები არ წაგვიგია, ჩვენ გამარჯვებულები ვართ, ოღონდ გაგვიყალბეს ხმა. დემოკრატიული აღორძინების კავშირი ძლიერი პარტიული ორგანიზაციაა, მას თავისუფლად შეეძლო მარტოც გამოსულიყო არჩევნებში და დარწმუნებული ვარ, თავისუფლად გადალახავდა იმ 7%-იან ბარიერსაც და გაცილებით მეტ ხმებს დააგროვებდა, მაგრამ „აღორძინების“ ლიდერისთვის მთავარი პარლამენტში გასვლა კი არ იყო, არამედ მას სურდა, ყოფილიყო ერთობა სხვადასხვა პარტიებს შორის და მიზანს მიაღწია კიდეც ამ მხრივ. პოლიტიკური პარტიების შერიგებით კი ერის შერიგება იწყება.

*– მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, რა შეცდომა დაუშვა „აღორძინებამ“ არჩევნებისთვის მზადებისას?*

– კონკრეტულ შეცდომებზე საუბარი ამჯერად ძალიან ძნელია, შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ ერთი რამის იმედი მაქვს.

გაგრძელება მე-5 გვ.

## ბლოკ „სახალხო ფრონტი-ჭავჭავაძის საზოგადოების“

# განცხადება

1. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ხელისუფლების მიერ ფინანსური და საპროპაგანდო საშუალებათა სრული მობილიზაციის ფონზე ჩატარდა, რის გამოც მონაწილეთათვის თანაბარ პირობებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მმართველი პარტია, მისი წევრი თანამდებობის პირები და პრეზიდენტი სისტემატურად იყენებდნენ ძალაუფლებას, რათა საეთერო დრო შეუზღუდავად მოხმარებოდა მათ პროპაგანდას.

2. არჩევნები შედგა არადემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელმაც მონაწილე სუბიექტები ამ მხრივაც თავიდანვე არათანასწორ მდგომარეობაში ჩააყენა-ცენტრალური, საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტება ფაქტობრივად მმართველი პარტიის ხელში მოაქცია და არჩევნების მიმდინარეობაზე აქტიური კონტროლის პროცესიდან გამოთიშა მონაწილე სუბიექტთა დიდი უმრავლესობა.

3. მმართველი პარტის მიერ გამოყენებული წინასაარჩევნო საშუალებების ზედაპირული დათვალიერებითაც კი (ძვირადღირებული უზარმაზარი სტენდები, თითქმის 24 საათიანი ვიდეოკლიპების ჩვენება ტელევიზიის ყველა არხზე და სხვა) სრულიად აშკარაა, რომ მიუხედავად ოფიციალური დასკვნებისა, მმართველი პარტიის საარჩევნო დანახარჯები მრავალგზის აღემატებოდა დადგენილ ზღვარს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ასტრონომიული სიდიდის თანხები კანონიერი გზებით იყოს მოპოვებული და არავითარ კავშირში არ იყოს სახელმწიფო სახსრებთან.

4. ხელისუფლებამ პარტიათა დიდ ნაწილს არჩევნებზე მეთვალყურეობის ის შეზღუდული უფლებაც კი წაართვა, რასაც ანტიდემოკრატიული კანონი ითვალისწინებდა. კერძოდ, კანონი (იხ. მუხლ. 31. პუნქტი-2) გარკვევით ამბობს, რომ საარჩევნო რეგისტრაციაში გატარებულ ყველა პარტიას, რომელსაც არ დაუნიშნავს წევრი, აქვს წარმომადგენლის დანიშვნის უფლება. გარდა ამისა, ბლოკს აქვს მეთვალყურის დანიშვნის უფლებაც. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ამ კანონისა და ცსკ-ის მიერვე მიღებული ინსტრუქციის (№154) საწინააღმდეგოდ, რამდენიმე პარტიისგან შემდგარ ბლოკს უმეტეს უბნებში, მხოლოდ ერთი მეთვალყურის ჩასმის უფლება მისცეს. არჩევნების მიმდინარეობის დროს მეთვალყურეების უმეტესი ნაწილი ახლოს არ გააკარეს საარჩევნო უბნებს. მათი უფლებები კი, ვინც მაინც მოახერხა საარჩევნო უბნებზე შეღწევა, უხეშად ირღვეოდა და მათ რეალურად არ ეძლეოდათ პროცესის გაკონტროლების საშუალება.

5. ამომრჩეველთა სიებით მანიპულირება, მასში უამრავი გარდაცვლილი და ქვეყნიდან გასული პირის შეტანა, არჩევნების გაყალბების ერთ-ერთი მთავარი გზაა. კანონის საწინააღმდეგოდ ოპოზიციურ პარტიებს არც ამომრჩეველთა სიების სისწორის გაკონტროლების საშუალება მისცემიათ. დამატებითი სიები საშუალებას აძლევდა მმართველი პარტიის სპეციალურად შექმნილ ბრიგადებს ორგანიზებულად ჩამოევლოთ სხვადასხვა უბნები და მრავალგზის მიეცათ ხმა.

6. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არაერთხელ იქნა დაფიქსირებული პოლიციის, პროკურატურის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების პირდაპირი ჩარევა საარჩევნო პროცესში, მათ მიერ უბნებიდან დამკვირვებელთა იძულებითი გაყვანის ჩათვლით.

7. ხმების დათვლის დროს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე გამოირთო ელექტროენერგია.

8. ბიულეტენების მასობრივი ჩაყრა, ოქმების გაყალბება და ა.შ. ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა.

9. წინააღმდეგ კანონისა (მუხლი №52, 9-10) მონაწილე სუბიექტთა წარმომადგენელ პირებს უბნებსა და ოლქებში უმეტეს შემთხვევაში უარი უთხრეს ოქმების მიცემაზე ან გადასცეს ოქმები დიდი დაგვიანებით, რის წყალობითაც ოქმების მონაცემების საიმედოობა კიდევ უფრო საეჭვოა.

აღსანიშნავია, რომ შევარდნაძის რეჟიმს არც ერთ წინა არჩევნებზე არ მიუმართავს კანონის დარღვევისა და დაუფარავი ძალადობის ასეთი აშკარა და მასშტაბური ფორმებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

– არ არის კანონიერი

– არ ასახავს მოსახლეობის უმრავლესობის აზრსა და ნებას.

გაყალბებითა და დემოკრატიული ნორმების დარღვევით შეიქმნა პროკომუნისტური და პროიმპერიული პარლამენტი. იზრდება საფრთხე ისეთი ანტისახელმწიფოებრივი საპარლამენტო აქტების გატარებისა, როგორიცაა საქართველოს ფედრალიზაცია, ტერიტორიული დანაკარგების იურიდიული გაფორმება, საქართველოს ქონების უკანონო განიავება და სხვა.

თქმულიდან გამომდინარე, სასიცოცხლო აუცილებლობად ვთვლით საქართველოს ეროვნული, მაშასადამე, დემოკრატიული და ქვეყნის ბედზე პასუხისმგებლობის შეგნებით აღჭურვილი ყველა პოლიტიკური ძალის თანამშრომლობის ორგანიზებას, რათა შესაძლებელი გახდეს

– კონკრეტული საშიშროებათაგან ქვეყნის დაცვა

– ბრძოლა დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღების და დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების შესაცვლელად.

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებს, მათი ფუნქციონირების პერიოდისა და პირობების შესახებ მომავალი წლის განმავლობაში მხარეები მოლაპარაკებებს გააგრძელებენ. ამდენად, სრულ უსაფრთხოებასა და სიმშვიდეზე საუბრები ნაადრევია, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს რა შევარდნაძის ბრალია. ყველაფერს დრო სჭირდება.

### „დიდების ზღაპარმა“ პარლამენტში არ გადაინაცვლოს...

20 ნოემბერს გამართულმა პირველმა საპარლამენტო სხდომამ სრულ ურთიერთგაგებაში ჩაიარა პოზიციასა და ოპოზიციას შორის. დღის წესრიგში დასმული ერთადერთი საკითხი – პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა, განსაკუთრებული სიმშვიდით და ოპოზიციის კეთილგანწყობით მოხდა. ის კი არადა, ზოგიერთმა მეტისმეტად „აღორძინებულმა“ ხმაც კი მისცა ჟვანიას კანდიდატურის სასარგებლოდ.



25 ნოემბერს დანიშნული მორიგი სხდომაც, „ვიმედოვნებთ“, აბსოლუტურ სიმშვიდეში ჩაივლის. ვიცე-სპიკერების არჩევა, ვშიშობთ, ისეთივე ფორმალური ხასიათის იქნება, როგორც პირველ სხდომაზე თავმჯდომარის არჩევა, ყველაფერი ხომ წინდაწინ არის გადაწყვეტილი. უფრო „დიდი“ შიშის გაზიარებისგან კი ცოტა თავს შევიკავებ, მეშინია, თქვენც არ შეგაშინოთ, მომავალმა საპარლამენტო სესიებმა მთლად ფორმალური ხასიათი არ მიიღოს და „დიდების ზღაპარმა“ I არხიდან მთლად პარლამენტში არ მოინაცვლოს ადგილი.

### საქართველო პატივს სცემს რუსეთის სუვერენიტეტს! პირიქით?..

„სავიზო რეჟიმის შემოღება არ შედის ორი ქვეყნის მოქალაქეების ინტერესებში, მაგრამ პატივს ვცემთ რა რუსეთის სუვერენიტეტს და მის სურვილს, მზად ვართ ამ თემაზე მოლაპარაკებების დასაწყებად“, აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. იგივეს თქმა, თუმცა, რომ რუსეთის მხარე ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და სურვილს პატივს სცემდეს, ნამდვილად შეუძლებელია.



ამაზე ცხადად მეტყველებს არაერთი უკანონო ქმედება რუსეთის მხრიდან ჩვენს წინააღმდეგ, ასევე შატილის დაბომბვა, რუსეთის ავიაციის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის კვლავ და კვლავ დარღვევა და რაც მთავარია, მოსკოვში „გულის მოსაფხანად“ გაგზავნილი ოფიციალური თბილისის საპროტესტო ნოტებზე გულმოდგინედ წაყრუება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოფიციალური მაღალჩინოსანი პირები ამ ეტაპზე ვერ ხედავენ სავიზო რეჟიმის შემოღების აუცილებლობას, „წაყრუების ხელობაში“ განუსწავლელნი იძულებულნი არიან რუსეთის ხელისუფლების სურვილს გამოეხმაურონ, თუმცა ჩვენი „დიდი მეზობლის“ ნატვრა 2000 წლის 1 იანვრისათვის მოესწროს სავიზო რეჟიმის შემოღება, ცოტა მოგვიანებით ახდება. ყველა საკითხის შეთანხმებას, მენაღარიშვილის განცხადებით, რამდენიმე თვე მაინც დასჭირდება.

# საგარეო პოლიტიკის ხუთიანს საშინაო პოლიტიკის ორიანი ჩრდილავს

მე-2 გვერდიდან.

რომლებიც, შეიძლება ითქვას, თვით საქართველოს დელეგაციისათვისაც კი მოულოდნელი და ერთობ სასიხარულოც აღმოჩნდა – ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი და რაც მეტად მნიშვნელოვანია, რუსეთის ორი სამხედრო ბაზის გაყვანა ჩვენი ტერიტორიიდან.

იმდენად გულუბრყვილოები არ ვართ, ვიფიქროთ, რომ ეს ხელშეკრულებები, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, სამომავლო ორიენტირები დაუსახა ქვეყანას, ციდან ჩამოვარდნენ და ციურ მანანასავით მოგვართვეს. ბუნებრივია, ამ მოვლენას წინ უძღოდა ქვეყნის პრეზიდენტისა და მისი გუნდის დიდი შრომა, ძალისხმევა, უძილო ღამეებიც და რაოდენ სასიხარულოა, რომ ნაშრომ-ნაამაგარი წყალში არ ჩაიყარა და ის მიზანი, რისკენაც ისწრაფოდნენ ბატონი შევარდნაძე და მისი თანამოაზრენი, ასრულდა.

გულღვარძლიანი, შურიანი და სიძულვილით გაჟღენთილი უნდა იყო ადამიანი, რომ პრეზიდენტისა და მისი თანამებრძოლების ეს შრომა, ეს დიდი ძალისხმევა არ დააფასო. არ დაინახო ის დიდი სიკეთე, რასაც ქვეყანას მოუტანს მომავალში სტამბულის სამიტის გადაწყვეტილებები და პირადად მე, საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე და ჩემთან ერთად ყველა საღად მოაზროვნე ქართველი მივესალმებით ბატონ შევარდნაძის ამ დიდ გამარჯვებას საგარეო პოლიტიკის არენაზე და ვიმედოვნებთ, რომ საქართველო ამიერიდან მყარად დაადგება დასავლური ცივილიზაციის გზას და ღირსეული პარტნიორი გახდება იმ ქვეყნებისა, სადაც დემოკრატია, კანონების უზენაესობა, ადამიანთა უფლებები ის უმაღლესი ფასეულობებია, რომელთა დაცვა ევალება ყველას, დაწყებული პრეზიდენტიდან და დამთავრებული რიგითი მოქალაქით.

ნათქვამია, ყველა მედალს ორი მხარე აქვსო. ამ შემთხვევაშიც საქართველოს ხელისუფალთა მოღვაწეობასაც, შეიძლება ითქვას, ორი მხარე აქვს: ერთი – ეს არის საგარეო პოლიტიკა, სადაც თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული და მეორე – საშინაო პოლიტიკა, სადაც ასეთი წარმატებებით ვერ დავიკვეხნით. პირიქით, იმ ფონზე, როცა საქართველო საგარეო პოლიტიკის მასშტაბით ერთ-ერთ აღიარებულ ქვეყნადაა ქცეული და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები მას ანგარიშს უწევენ მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე თუ პრეზიდენტ შევარდნაძის საგარეო-პოლიტიკური კურსის წყალობით, საშინაო პოლიტიკის მხრივ საქმე ჩაფლავებულია და ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება, რაც თითოეული ქართველის, საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის სოციალურ ყოფაზე აისახება. დაუსაქმებელი ადამიანები, დაბალი პენსია-ხელფასები და ისიც თვეობით გაუცემელი, ეროვნული ვალუტის ინფლაცია და ფასების ზრდა, მძიმე ენერგეტიკული კრიზისი, უძირო კორუფცია... აი, მიზეზი იმ ნიჰილიზმისა, რამაც ასე ღრმად გაიდგა ფესვი მოსახლეობაში, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ხალხს ყველაფრის იმედი დაუკარგა და მას არავისი აღარ სჯერა. ამას მივუმატოთ კორუფცია ხელისუფლების ყველა რგოლში, ადამიანთა უფლებების აბუჩად აგდება ბიუროკრატიულ ლაბირინთებში, პოლიციის მხრიდან, სანახევროდ რეფორმირებული სასამართლოები და სამართალდამცავი სტრუქტურები, სადაც სიმართლის გატანა არც ისე იოლია, ჯანდაცვის, განათლების სფეროების ვაი-რეფორმები და იქმნება ის სურათი, როცა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და საშინაო პოლიტიკა დისონანსში მოდიან ერთმანეთთან, ანუ ცალკერძ გაღატაკებული მოსახლეობა, ეკონომიკა მოშლილი ქვეყანა და ცალკერძ დასავლური ცივილიზაციის პრიორიტეტების საჯაროდ აღიარება ხელისუფლების მიერ.




უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლელი პოლიტიკოსები, თუნდაც ისეთი აღიარებული პოლიტიკოსი, როგორიც ბჟეზინსკია, მშვენივრად ხედავენ იმ მდგომარეობას, რაც დღეს ჩვენში გამეფებული და სავარაუდოდ, ქვეყნის ხელისუფალთ ალბათ გარკვეული შენიშვნებიც მისცეს ამის თაობაზე და საფიქრებელია, ამ შენიშვნებისა თუ მითითებების შედეგი უნდა იყოს სწორედ ის ერთგვარი ფაცი-ფუცი, სხვადასხვა უწყებებში რომ მიმდინარეობს დღეს და ერთგვარი საკადრო წმენდის სახე რომ აქვს მიღებული. თუმცა, მხოლოდ საკადრო ცვლილებებით საქმე წინ ვერ წაიწევს, უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა, აღიარებული იქნას კანონის უზენაესობა და ერთხელ და სამუდამოდ უარყოფილ იქნას პრინციპი – კეისრისთვის რაც შეიძლება, ის უბრალო მოკვდავისთვის არ შეიძლება, ანუ ქვეყნის ყველა მოქალაქე, მიუხედავად მისი თანამდებობრივი იერარქიისა და დამსახურებისა ერთნაირად იცავდეს კანონს. ამის მიღწევა კი მაშინ შეიძლება, როცა ეს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში განხორციელდება და შესაბამისად, მის ქვედა რგოლებზეც გავრცელდება. აი, სწორედ მაშინ ირწმუნებს მოსახლეობის უმრავლესობა, რომ ეს ქვეყანა მარტო შევარდნაძის, მისი გარემოცვის, მოქავშირის კი არ არის და ბაქო-სუფსის, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ევრაზიული დერეფანი თუ აბრეშუმის გზა მხოლოდ მათი კი არა, არამედ ჩვენი, თითოეული ჩვენგანისაა და საქართველოს მოვლა-პატრონობაც ყოველი ჩვენგანის საქმეა.

სასაუბრო თემას რა გამოლევს, მაგრამ მკითხველი რომ არ გადავღალო, მოკლედ მოვჭრი: შევარდნაძის გამარჯვებას საგარეო პოლიტიკაში თუ საშინაო პოლიტიკისკენ შემობრუნებაც მოყვა, მაშინ თამამად შეგვეძლება თქმა, რომ საქართველო სოციალურ-ეკონომიკური ჩიხიდან მალე გამოვა და ერთ-ერთი ის ქვეყანა იქნება რეგიონში, რომელიც ღირსეულად იტვირთავს წამყვანი ქვეყნისა და ცივილიზებული სახელმწიფოების პარტნიორის ღირსეულ და საპატიო როლს. იმედია, ქვეყნის პრეზიდენტი იზრუნებს იმისათვის, რომ შეთანხმებულად იმოქმედოს როგორც საგარეო-პოლიტიკურ არენაზე, ასევე საშინაო პოლიტიკის სფეროში და ქართველ კაცს მაშინ შეეძლება ხმამაღლა თქვას, რომ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის ხუთიანს საშინაო პოლიტიკის ორიანი არ ჩრდილავსო, ჯერ-ჯერობით კი...

**სერგო ჯანაშია**

# ვისი მტერია სიმართლე?

მე-2 გვერდიდან.

პერიოდში საქართველოს მიწების მესამედი დაიკარგა.

მეტროპოლიტენში მყოფს, ხშირად გამკვირვებია მოხუცი პენსიონერების მხრიდან გაწეული დახმარებისა მათხოვრებისადმი. ჩვენი დაუცველი მოხუცები ხომ თვითონაც მათხოვრობის ზღვარზე დგანან. ხელის კანკალით უდებენ მათხოვარს ხუთ თეთრს და თვალს არიდებენ დახლებზე ლამაზად ჩამწკრივებულ ფუნთუშეულობას.

ამის შემყურეს ხშირად მიხარია, რომ პრეზიდენტი მეტროთი არ სარგებლობს. როცა თავისუფლების მოედანზე, მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავდივარ, კიბეებთან ათიოდე წლის ფეხშიშველა და ერთიანად გაფითრებული მათხოვარი გოგონა მხვდება. სიცივისგან გალურჯებული ბავშვი ერთთავად ამ სიმღერას მღერის: „როცა ვიყავ პატარა, დედამ ხელით მატარა“. ბავშვს თავისი „შეფი“ ჰყავს, რომელსაც საღამოთი გლახაკობით მოპოვებული სამი ლარი უნდა მიუტანოს. თუ ეს თანხა ბავშვმა ვერ მოაგროვა, საშინელი ცემა ელოდება. განა იმიტომ არის ფეხშიშველი ამ ზამთარში, რომ არა აქვს წინდები და ტუფლები? – არა! ამით პაწია მათხოვარმა იცის, რომ თანაგრძნობას გამოიწვევს და საღამომდე დაკისრებულ გროშებს მოუყრის თავს. მას სიცივეზე და სიკვდილზე მეტად სისასტიკის ეშინია.

მის დანახვაზე ყოველთვის ცრემლები მერევა, მინდა მივეფერო, მაგრამ მეშინია, რომ ზედმეტი იმედი არ ჩავუსახო მის ბავშვურსა და გაწამებულ სულს. მან ხომ უკვე აითვისა ცხოველებისათვის დამახასიათებელი, უსასტიკესი კანონი „ბრძოლა არსებობისათვის“. რაღა საჭიროა ადამიანური სითბოს გაღვივება, რაღა საჭიროა დავანახო მშვენიერი სამყარო სიყვარულისა, მაშინ ხომ ის დაიღუპება. ყოველთვის, როცა მას ვხედავ, ცრემლები მერევა, მაგრამ მაინც მიხარია – რა მიხარია? რომ არც მიწისქვეშა გადასასვლელებით არ სარგებლობს ბატონი პრეზიდენტი. მჯერა, რომ ხანშიშესულ ადამიანს უნდა გავუფრთხილდეთ. მერე რა, რომ საკუთარი ქვეყნის მართვა არ ხელეწიფება, მერე რაა, რომ ხალხი გამათხოვრდა, სხვა ქვეყნებში წავიდა, შიმშილისაგან დაიხოცა, შევეჩვიოთ დიდი მასშტაბებით აზროვნებას, ის ხომ მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსია.



ჩვენს ირგვლივ მიმოვიხედოთ!

ჩემი მეზობელი ერთ-ერთ პრესტიჟულ ორგანიზაციაში მუშაობდა, ნორმალური ოჯახი ჰქონდა, შემდეგ შტატების შემცირებაში მოყვა და ... მისი ოჯახის ჩარხიც უკუღმა დატრიალდა. ბირჟაზე დადგა, მძიმე ფიზიკური შრომა უწევდა, დაავადდა და სახლიდან ყველაფერი გაყიდეს, რომ მისთვის ემკურნალათ. მაგრამ, მოგეხსენებათ, რა ფასებია საავადმყოფოებში დაწესებული თითოეული დაავადების მკურნალობაზე. საავადმყოფოდან გამოპარვა მოუხდა. ახლა ვარკეთილის მეტროში დგას და მათხოვრობს. მისი გოგონა ყოველდღე ტირილით ეხვეწება, მამიკო, ვარკეთილში ნუ მათხოვრობ, ჩემი კლასელები დაგინახავენო. ასეთ ფაქტებს რა დალევს. ტაქსების გაჩერებაზე ერთი კაცი ტაქსისტს ეხვეწებოდა: სახლში ერთ ლარად წამიყვანეო. მძღოლმა უპასუხა: – შენ რა, დამცინი, შენზე უკეთესად არც მე ვარო. შენ ხელგაწვდილი მათხოვრობ, მე – ამ ჯართი მანქანით, რა განსხვავებაა ჩვენს შორისო.

ხშირია მათხოვრების ჩხუბი ნაგვის ბუნკერებთან. ვერა და ვერ გაუყვიათ გამხმარი პურის ქერქები, რაღაც სასწაულით რომ გადარჩენია ვირთხების კბილებს. ისე, კარგი იქნებოდა, რომ მიგვეღო მსოფლიო ორგანიზაციების, „ეუთოს“ და „ნატოს“ რეკომენდაციები ამ საკითხზე: სასტიკი ბრძოლა კორუმპირებულ ვირთხებს. ასე ხომ ერთდროულად ორი პრობლემა გადაიჭრებოდა.

ჩვენი მთავრობა მოსახლეობაზე რომ ზრუნავს, ცარიელი საავადმყოფოებითაც კარგად ჩანს. ჩვენთან ავადმყოფთა რიცხვი სასწაულებრივად შემცირდა. არავინ აღარ წვება საავადმყოფოში. ჯანდაცვის რეფორმამაც ამას ჰქვია. ერთ მაგალითს მოვიყვან იმისათვის, რომ ამ რეფორმის ავ-

გაგრძელება მე-5 გვ

# ვისი მტერია სიმართლე?

*მე-4 გვერდიდან.*

კარგი ყველამ კარგად დაინახოს. მოხუც კაცს ყვარლის რაიონიდან სასწრაფოდ დასჭირდა 150 ლარი. იგი ცინებით იყო მოწამლული. სამკურნალო თანხის დასახელებამ შეაძრწუნა და უარი განაცხადა საავადმყოფოში დაწოლაზე. შვილმა მაინც დააწვინა მოხუცი და ძროხის გასაყიდად სოფელში წავიდა. მოხუცმა იცოდა რამდენი შვილიშვილი შეჰყურებდა ოჯახის ერთადერთ მარჩენალ ძროხას და პირდაპირ საავადმყოფოს ფანჯრიდან გადმოხტა. შვილი ჩამოვიდა და მამა მკვდარი დახვდა.

ამ სახელმწიფოში სიცოცხლის უფლებაც კი დაუცველია. ექვსი თვის ორსულ ქალს მუცელი მოსწყდა. საავადმყოფოში ხელს არ კიდებდნენ. მოიტანეთ 170 ლარი და მივხედავთო. თან თავს იმართლებდნენ ექიმები, ჩვენ რა შეგვიძლია, ასე ღირს ეს მომსახურებაო და კედელზე გამოკრულ სამკურნალო ხარჯებზე უთითებდნენ ახლობლებს. სამწუხაროდ, ფული გვიან იშოვეს ნათესავებმა. ახალგაზრდა ქალი კი სისხლისგან დაიცალა და დაიღუპა. ასეთივე შემთხვევა მოხდა თელავშიც. სადაც მშობიარე ქალს არ მიხედეს, ჯერ ფული მოიტანეთო. ქალიც და ბავშვიც დაიღუპა. გამწარებულმა ქმარმა ექიმი ქალი მოკლა.

ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ ფსიქოლოგიურმა მოშლილობამ ხალხის ზნეობრივი დეგრადაციის პრობლემა წამოსწია წინ. ამას ის შემთხვევაც ადასტურებს, რისი მოწმეც თავად გახლდით რამოდენიმე თვის წინ. პალატაში მყოფს შემზარავი კივილის ხმა შემომესმა. დერეფანში საკაცით შემოიყვანეს 23 წლის ქალი, რომელსაც მთელი სხეული დამწვარი ჰქონდა. ამ ქალის შიშველი, დანახშირებული ტანის დანახვა ყველაზე უგრძნობ ადამიანსაც კი ააღელვებდა. პირველადი დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი სასწრაფო ოპერაციის გასაკეთებლად ექიმებმა 400 დოლარი მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროფესიული ვალის მოხდაზე უარს აცხადებდნენ. რამოდენიმე საათის შემდეგ ახლობლებმა მოიტანეს 200 დოლარი, რის შემდეგაც გაუკეთდა დაგვიანებული, სასწრაფო ოპერაცია წელს ქვემოთ. უფრო დაგვიანებით მოიტანეს ახლობლებმა დანარჩენი 200 დოლარი, რის შემდეგაც დაასრულეს გაწამებული ქალის ოპერაცია. იგი ხეიბარი გახდა. და მაინც, რა მოხდა, რატომ არ მიხედეს ექიმებმა დროულად პაციენტს? პასუხი ჯანდაცვის რეფორმაში უნდა ვეძიოთ.

ამ ფაქტით შეძრწუნებული დავინტერესდი დამწვრობის მიზეზით, იქნებ თვითმკვლელობის მცდელობა იყო?

ახლობლებისგან ასეთი რამ შევიტყვე: დედამთილსა და რძალს შორის მოხდა კონფლიქტი. რძალმა შემთხვევით დაკარგა დედამთილისაგან ნაჩუქარი საყურის ერთი ცალი. რძალსა და დედამთილს შორის ატეხილი სიტყვიერი კამათი მალე ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა, რის შემდეგაც დედამთილმა ქალს ბენზინი მიასხა და ცეცხლი წაუკიდა. ქალი ძმამ გადაარჩინა, რომელიც სტუმრად იმ წუთებში მივიდა.

ჩვენს ირგვლივ ყველაფერი ნადგურდება, ყველაფერი ილუპება, იყიდება და იძარცვება სული, ვაგზლის მოედანთან, ცირკთან, ზოოპარკთან საეჭვო პროფესიის ქალებს მოუყრიათ თავი. ვის არ შეხვდებით აქ – 10 წლის ბავშვს და 70 წლის მოხუცს, ასლარიან ქალს და ერთლარიან არარაობას, ჯანმრთელსა და ინფიცირებულს. ვაგზლის მოედანთან, ცირკთან, ზოოპარკთან შესანიშნავი აუქციონია მოწყობილი. დღეს და გადმოდღეს საქართველოში სხეულით ვაჭრობა. შეგიძლიათ იყიდოთ ულამაზესი, განათლებული ქალი სულ რაღაც 3 ლარად, ერთი-ორი საათით. შეგიძლიათ სცემოთ, შეაფურთხოთ, შეაგინოთ. პასუხს არავინ მოგთხოვთ.

იყიდებიან საქართველოს ქალები, იაფად, უფასოდ, გირაოდ. დახოცეთ, გაწეწეთ, დაგლიჯეთ. ესენი ხომ ქალები აღარ არიან! ვინ მიიყვანა ისინი ამ მდგომარეობამდე?

– მეძავებს ესარჩლებით? – მეტყვიან.

– თქვენ უკეთესი ხართ? – ვკითხულობ.

ცირკის ასასვლელში ძალიან ლამაზი, ქართული გარეგნობის გოგონა დგას.

– შეიძლება ინტერვიუ ავიღო თქვენგან? – ვეკითხები, ზურგს მაქცევს.

– ვინმეს ელოდებით – კიდევ ვეკითხები.

ისევ დუმს.

რა პროფესიის ბრძანდებით?

– წადი რა, ააცვი აქედან, სანამ ლამაზი ხარ.

ეტყობა, ცუდი დღე ჰქონდა, ვფიქრობ და ვშორდები.

ვივა საქართველო, ვივა!.. გიხაროდენ! გიხაროდენ!

ლია ბიბიტაშვილი

**ინტერვიუ**

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: აბსოლუტური უმრავლესობის მიღწევა პარლამენტში დიქტატორული რეჟიმის მომასწავებელია

*მე-3 გვერდიდან.*

მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისას ასეთ შეცდომებს აღარ დავუშვებთ.

*– „ლეიბორისტებმა“, თუ გაყალბებას არ გავითვალისწინებთ, 7%-იანი ბარიერი არაოფიციალურად გადალახა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა მისი ამგვარი წარმატება. ცნობილია, რომ ადგილობრივი საკრებულოს არჩევნების შემდეგ ლეიბორისტული შრომის პარტიის რეიტინგი საგრძნობლად დაეცა.*

– ეს წარმატება იყო თუ წარუმატებლობა?

– თუ არჩევნებში მონაწილე პარტიებს ვენდობით, რომ ნამდვილად ადგილი ჰქონდა გაყალბებას, მაშინ „ლეიბორისტებს“ 7%-იანი ბარიერი არაოფიციალურად მაინც გადაულახავთ და ეს წარმატება არ არის?

– „ლეიბორისტების“ მისამართით რამდენად იმოქმედა იმ ტოტალურმა გაყალბებამ, ვერაფერს გეტყვით. მართალი ბრძანეთ, მათმა რეიტინგმა ადგილობრივი არჩევნების შემდეგ დაიკლო. მათ ცოტა სხვანაირი პოლიტიკით რომ ემუშავათ, ალბათ, ეს ასე არ მოხდებოდა.

ამ არჩევნებისთვის, სიმართლე რომ გითხრათ, „ლეიბორისტებმა“ სერიოზულად იმუშავეს. დასანანია, რომ სუბიექტურად თუ ობიექტურად, ბოლომდე ვერ გადალახეს ეს საზღვარი. მინდა გითხრათ, რომ „ლეიბორიზმი“ სიახლეა ჩვენს ქვეყანაში. ლეიბორისტული შრომის პარტია ახლადჩამოყალიბებულია და, ალბათ, მომავალში თავისი პოლიტიკას სხვაგვარად წარმართავს და გარკვეულ ძალებს მოიკრეფს.

*– როგორია თქვენი განწყობა „მრეწველების“ მიმართ?*

– ჩვენ ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეთა საკეთებლად ყველასთან თანამშრომლობას ვაპირებთ. რას გააკეთებს პარლამენტში ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, წინასწარ ვერ გეტყვით. ისე კი სიჭრელით (რომელზეც ხშირად ჩვენს ბლოკს უკიჟინებენ) ისინი ნამდვილად არ ჩამოგვრჩებიან, თუ არ გვაჭარბებენ. ნახეთ, რამდენი მრეწველია ამ ბლოკში, შეიძლება ორად-ორი ან სამადსამი, დანარჩენი კი ძალიან შორს დგანან მრეწველებისგან.

*– რამდენად საშიში არიან დღეს პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიები სტაბილურობისათვის ან რა ბედი ელით მათ?*

– არა მგონია, ისინი საშიში იყვნენ. ყველამ კარგად იცის, ქუჩაში გამოსვლის და მიტინგების გამართვის დრო წავიდა. ეს იყო გუშინ, გუშინწინ... დღეს ქუჩებში ამგვარი გამოსვლები წარმატებას არავის მოუტანს. ყოველ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს გარკვეულ ბუნტს, მოსახლეობა კი დაღლილია, ის იარები, ნაჭრილობევები ჯერაც ვერ მოუშორებიათ, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინ გვქონდა და სწორედ იმის გამოძახილია ეს ცუდი ცხოვრებაც, რომელიც ლაიტმოტივივით მოგვყვება 1992 წლიდან მოყოლებული.

*– არჩევნების დღეს „აღორძინების“ ლიდერის, ასლან აბაშიძის სიტყვა პირდაპირ ეთერში (რუსთავი 2) მუქარასავით გაისმა, არასასურველ შედეგს შესაძლოა „დიდი ამბები“ მოჰყვესო...*

– მან ეს სხვა კუთხით თქვა, ჩვენ სხვაგვარად გავიგეთ, არანაირ მუქარას ადგილი არ ჰქონია. ბატონმა ასლანმა თქვა, რომ შეიძლება ამან სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვიოს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქუჩის დემონსტრაციებს დაიწყებდა აჭარის მხარე.

უკმაყოფილება არჩევნების შედეგებმა მართლაც გამოიწვია არა მარტო ჩვენში, არამედ ამომრჩეველშიც.

*– აჭარის მხარემ საბოლოოდ უარი თქვა ასანიძის გათავისუფლებაზე და სასამართლომ პრეზიდენტის ბრძანებულება ასანიძის შეწყალების თაობაზე გააუქმა. რამდენად უფლებამოსილი იყო სასამართლო, ეს გადაწყვეტილება მიეღო და მეორეც, ეს ნაბიჯი აჭარის მხრიდან ანგარიშსწორება ხომ არ არის ხელისუფლებასთან და საკუთარი ძალის დემონსტრირება?*

– არა, სულაც არა. იცით, რაშია საქმე? იქ გარკვეულწილად პროცედურა იყო დარღვეული. სხვათა შორის, სწორედ არჩევნების წინ მოხდა ასანიძის შეწყალება პრეზიდენტის მხრიდან. ეს შეწყალებას არ გავდა, ეს იყო პოლიტიკური ნაბიჯი ბუნტისა და არეულობისთვის აჭარაში, თორემ, კაცმა რომ თქვას, საქართველოს საპატიმროებში ბევრია ისეთი ადამიანები, რომლების გათავისუფლებაც შესაძლებელი იქნებოდა. მხედრიონელები არიან ბევრი, ბატონი ჯაბაც პატიმარია. შეიძლებოდა მათი შეწყალება, მაგრამ... ასანიძის შეწყალება გამიზნული იყო აურზაურის გამოსაწვევად, თუმცა იჩქარეს და... გარკვეული პროცედურა დაირღვა გათავისუფლებისას. ამის შესახებ დაისვა საკითხი, სასამართლოში შეტანილი იქნა სარჩელი და ამას მოყვა ბათუმში სასამართლოს მიერ ამ საკითხის განხილვა და მიღებული შედეგიც. მე ამ დარგის სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ვიცი, რომ აქ მთელი რიგი ნიუანსებია, რომლებიც აშკარად მიანიშნებდნენ ხელისუფლების მხრიდან დაშვებულ დარღვევებზე.

ჩვენ დაგვიპირისპირდნენ იმით, რომ, რასაც პრეზიდენტი იტყვის, ყველაფერი ისე უნდა გადაწყდეს. კი ბატონო, მაგრამ მე მაინც ასე მგონია, რომ გარკვეული კონსულტაციები მაინც უნდა ყოფილიყო აჭარის ხელისუფლებასთან ამ საკითხთან დაკავშირებით.

*– არჩევნების დღეს ბატონმა პრეზიდენტმა ხმამაღლა განაცხადა, რომ „მტრის ხატი“ აბაშიძე არ გახლავთ ის კაცი, ვისაც დესტაბილიზაცია აწყობს საქართველოში. რას ნიშნავდა სწორედ არჩევნების დღეს ედუარდ შევარდნაძის ეს გამოსვლა და ხომ არ არის ეს „დიდი დათბობის“ მომასწავებელი „მოქალაქეებსა“ და „აღორძინებას“ შორის?*

– პრეზიდენტი გამოვიდა არჩევნების დღეს სწორედ მაშინ, როცა ყველაფერი მორჩენილი იყო და შესანიშნავად იცოდნენ „მოქალაქეებმა“, რომ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს (ცხადია, არაობიექტური გამარჯვება იყო). ამან, ცოტა არ იყოს, თვით „მოქალაქეებიც“ შეაშფოთა და იფიქრეს, რომ ამას შესაძლოა მოჰყვეს არასტაბილური მომენტები, გაღიზიანება ძალად, კანონგარეშე „დამარცხებული“ პარტიისა, ისინი შეაშფოთა მოსალოდნელმა შესაძლო გართულებებმა. ამიტომ განაცხადა ეს პრეზიდენტმა, რათა როგორმე დაეშოშმინებინა მოპირდაპირე მხარე.

ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, არიქა, დავიწყოთ აჭარასთან შერიგება. მე ეს აღვიქვი ისე (ეს ჩემი სუბიექტური აზრია), რომ დიდძალი გაყალბების შემდეგ საჭირო იყო თავის მოქონვა და სიტყვებით მაინც ვილაცისათვის დაყვავება.

*– ბატონო ჰამლეტ, თვლით, რომ ეს იყო ტოტალური გაყალბება. სამართლისათვის ბრძოლას სასამართლოში რატომ არ აპირებთ?*

– ჩვენთან გაიმართა პოლიტიკური საბჭოს სხდომა და ეს ფაქტი დაფიქსირდა. ახლა ვაპირებთ საპარლამენტო მოღვაწეობა გავაგრძელოთ და მაქსიმალურად შევეცდებით, ჩვენ ჩვენი პოზიციები დავაფიქსიროთ, თუმცა დიდი წარმატების იმედი არავის აქვს, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვიტყვით.

რაც შეეხება გასაჩივრებას... ამას აბსოლუტურად აზრი არა აქვს, როცა სასამართლოც და თითქმის ყველაფერი, არის ერთი პიროვნების, ერთი პარტიის ხელში, ამ ნაბიჯის გადადგმა აბსოლუტურად უაზრობაა და არაფრის მომტანია.

მანანა ლობჟანიძე

# „აფრიკული ციებ-ცხელება“ ნოემბრის რუსთავში

სათაური ნუ გაგაკვირვებთ, ნამდვილად ასე იყო – რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი სპექტაკლზე ეპატიჟებოდა მაყურებელს – „აფრიკული ციებ-ცხელება“, რომელიც შექმნილი იყო ედგარ პოს, გურამ დოჩანაშვილის და ჰოფმანის ნაწარმოებების მიხედვით. სპექტაკლზე რეცენზია და მისი სიღრმისეული ახსნა თეატრმცოდნეთა მოვალეობაა, მე კი, უბრალოდ, მინდა აღვნიშნო, რომ მაყურებელი იმდენად იყო სცენით მოჯადოებული, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ აღფრთოვანებულნი მსახიობების და რეჟისორის მიმართ კეთილ სიტყვებს არ იშურებდნენ.

სპექტაკლში დაკავებულნი არიან: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლეილა შოთაძე, გია ლეჟავა, გია ტყეშელაშვილი, ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები: ეკა ქვრივიშვილი, ზურაბ ინგოროყვა და სხვები. რეჟისორი კი გახლავთ ბატონი ზაზა წაქაძე.

მოქმედება ფსიქიატრიულ კლინიკაში ვითარდება, სადაც სულიერად დაავადებულნი მკურნალობას გადიან დოქტორ პაპადაჩის (გია ლეჟავა) მეთოდით. მთელი სამყარო წარმოგვიდგება სცენაზე მყოფ პერსონაჟთა სახით, ხალხი სიბნელისკენ, უფსკრულისკენ მიიწევს, საჭიროა სინათლე, რათა გადარჩეს სამყარო და ეს სინათლე სიყვარულია. უნას და იუნონის სიყვარულმა, სიკეთემ უნდა გამოაფხიზლოს ხალხი. პერსონაჟებს იგივე პრობლემები აწუხებთ, რაც დღევანდელი საქართველოს სტკივა და აწუხებს.

საოცრად ციოდა თეატრის დარბაზში. გია ლეჟავას თითქმის შიშველად გამოსვლამ ჟრუანტელი მოგვგვარა, მაგრამ მსახიობთა მიერ სცენაზე დატრიალებულმა ცეცხლმა, პლასტიკამ მაყურებელს სიცივე და სუსხიანი ამინდი გადაავიწყა და მოჯადოებული ტაშით ხვდებოდა მათ ყოველ მოძრაობას.

ნახევრადშეშლილ პერსონაჟთა თვალებიდან მაყურებელი შიშს, ძრწოლას, ტკივილს, სიკეთეს, სიცოცხლისადმი სიყვარულს კითხულობდა და ეს იმდენად რეალურად აღიქმებოდა მათ თვალში, რომ იგივეს განიცდიდა.

ბიბა ლორთქიფანიძე: *უნდა მოგახსენოთ, რომ რეჟისორ ზაზა წაქაძის ყველა ნამუშევარში ჩანს პროფესიონალიზმი, ნამდვილი შეგრძნება სპექტაკლის ფორმისა.*

გოგი ქავთარაძე: *ძალიან საინტერესო სპექტაკლია, რომელსაც აქვს მომავალი, დიდი შრომა და ძალაა ჩადებული რეჟისორისა და მსახიობების მიერ. ეს არის ბოლომდე დახარჯული ენერგია, აზრი, პლასტიკა და რაც მთავარია, კოლექტივის ერთიანობა. საერთოდ, ერთიანობა გადაგვარჩენს ჩვენ ცხოვრებაშიც, ქვეყანაშიც და სცენაზე განსაკუთრებით.*

ეკა ქვრივიშვილი (უნა): *– ჩემი გმირის სიკვდილი ჩემი სიკვდილია. სანამ იცოცხლებს უნა, ვიცოცხლებ მე. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ თეატრში ჩემთვის საინტერესო კიდევ ერთი სახე შევქმენი. რა როგორ გამომივიდა, მაყურებელმა განსაჯოს. დიდი მადლობა ბატონ ზაზა წაქაძეს, ქალბატონ ირმა კეკელიძეს და საერთოდ, რუსთავის თეატრს.*

თეატრს რომ უჭირს, ეს არაახალი ამბავია და დღეს მას ისე უნდა შველა, როგორც არასდროს. პრობლემებით გადაღლილ მაყურებელს სულიერი საზრდო არ უნდა მოაკლდეს. თეატრს დახმარება, თანადგომა სჭირდება. ქველმოქმედება უცხო არ არის ქალბატონ ირმა კეკელიძისთვის, რომლის დიდი ძალისხმევითაც და დახმარებითაც დაიდგა სპექტაკლი.

სპექტაკლის დამთავრების შემდგომ ბატონ გია ლეჟავას შევხვდი, რომელსაც ხელში შავი პურის ყუა ეჭირა: *როლმა დამაინტერესა თავისი სირთულით. უცნობები ვიყავით ერთმანეთისთვის მე და რეჟისორი ზაზა წაქაძე. თუმცა, ის მიცნობდა, როგორც მსახიობს და მეც გაგონილი მქონდა მასზე, როგორც ხედავთ, შესანიშნავი, ბრწყინვალე სპექტაკლი გამოვიდა.*

*და კიდევ ერთი – ნახევრადხუმრობით და ნახევრადსერიოზულად – აი, ამ 30 თეთრიანმა რუსთავის პურმა მათამაშა ეს როლი...*

რუსთავიდან თბილისში მსახიობებისთვის განკუთვნილი დანჯღრეული ავტობუსით ვიმგზავრეთ თბილისიდან ჩასულმა მაყურებლებმა. გია ლეჟავას ისევ ის შავი პური ეჭირა ხელში...

ამრიტა ჯანაშია

# ეროვნული პარკების მშენებლობა საქართველოში ანუ ქვეყნის რეგენერაცია თუ დეგენერაცია?

გაზეთმა „საქართველომ“ ა.წ. 28-33 ნომრებში გამოაქვეყნა დამოუკიდებელი ჟურნალისტის ბ-ნ გიორგი ვასაძის მწვავე პუბლიკაციები ეროვნული პარკების, კონკრეტულად, კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებზე და ბ-ნ გივი გიგინეიშვილის პასუხი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ჩვენ მივეჩვიეთ საზღვარგარეთის სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩვენთვის გაწეული დახმარებების, ინვესტიციების და ა.შ. ჩვენი ქვეყნის საზიანოდ გამოყენებას; ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია მსოფლიოს ველური ბუნების დაცვის ფონდის (**WWF**) მიერ შედგენილი საქართველოში ეროვნული პარკების მშენებლობის პროგრამა, რომელიც, თავიდანვე მთელ პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თავისი გიგანტომანიის გამო ემსახურებოდა და ემსახურება არა ქვეყნის რეგენერაციას, არამედ თანდათანობით დეგენერაციას.

ამ 10-წლის წინათ **WWF**-მა უცხოელი და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით შეიმუშავა საქართველოში 7 უზარმაზარი ეროვნული პარკის შექმნის პროგრამა, რომელთა საერთო ფართობი უნდა ყოფილიყო დაახლოებით 2,3 მილიონი ჰა ანუ ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 33%. საქართველოს ტერიტორიის თითქმის მესამედი ეკონომიკურად და ინტენსიური სოფლის მეურნეობის გარეთ აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით და ამასთან ერთად უქმდებოდა უკვე არსებული სახელმწიფო ნაკრძალების უმრავლესობის დამოუკიდებლობა (იხ. რუკა).

ამ პროექტმა იმთავითვე უარყოფითი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. სხვასთან ერთად გამოქვეყნდა ამ სტრიქონების ავტორის 3 სტატია. შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მიმართა ქვეყნის მეთაურს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც წერილს ასეთი რეზოლუცია გაუკეთა, „ბ-ნო თენგიზ! (იგულისხმება თ. სიგუა.ბ.თ.) მეცნიერთა მოსაზრებანი საყურადღებოა, გთხოვთ გაითვალისწინოთ“.

ყოველივე ამას ის მოჰყვა, რომ დაინტერესებულმა პირებმა და წრეებმა მაინც მოახერხეს ბ-ნი სახელმწიფო მეთაურის დაყაბულება 20%-იან პროექტზე. ე.ი. ეროვნული პარკების პროექტი დაიყვანეს ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე ანუ დაახლოებით 1,4 მლნ ჰა-ზე. ეს წინა პროექტთან უკეთესი იყო, მაგრამ მისაღები მაინც არა.

ამას მოჰყვა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შექმნა, თავისი დამხმარე ტერიტორიებით დაახლოებით 200 ათას ჰა-მდე, რომელმაც შეიწირა ბორჯომის ისტორიული სახელმწიფო ნაკრძალის დამოუკიდებლობა.

**WWF**-დან ამ პარკების მშენებლობის ესტაფეტა სხვას გადაეცა და გაჩაღდა გიგანტური პარკების დაპროექტება ხალხისა და ქვეყნის ინტერესების გაუთვალისწინებლად, რომელსაც კოლხეთის ეროვნული პარკის შემთხვევაში მოჰყვა ბ-ნ გიორგი ვასაძის პუბლიკაციებში აღწერილი ცნობილი კონფლიქტი ე.წ. „გურულ ავაზაკებთან“.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა ქვეყანაში ნაციონალური პარკები იქმნებოდა და იქმნება ამ ქვეყნის სპეციფიკური დემოგრაფიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ინტერესებისა თუ თვისებების გათვალისწინებით, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს შემთხვევაში.

ეს პროექტი მისი გიგანტომანიისა და მასში ჩადებული სხვა მიზეზების გამო ასეთი სახით კატეგორიულად მიუღებლად მიგვაჩნია. ამ მიზეზებზე ქვემოთ შევჩერდებით.

1). დემოგრაფიული პრობლემა. მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი პროექტი თუ პროგრამა უნდა ემსახურებოდეს საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. პირველ რიგში, აბორიგენული მოსახლეობის ქართველთა სასარგებლოდ და სასიკეთოდ.

უეჭველია, ეს მიზანი ალერგიული გამონაყარით დასუსხავს ჩვენს თავგადაკლულ კოსმოპოლიტებს, რომელთათვისაც მთავარია საქართველოში რაღაც გაურკვეველმა, ამორფულმა, გადასახადის გადამხდელმა მასამ იცხოვროს და ეროვნებას მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუნდაც პაპუასი და ბუშმენი იყოს.

ჩვენ კი არაერთხელ გვითქვამს და დღესაც გვინდა გავიმეოროთ – ღმერთმა არ გაუმარჯოს უქართველო საქართველოს, რომელზედაც ასე ჩუმი თუ ხმამაღალი ნატვრით ნატრულობდნენ და ნატრულობენ რაისა გორბაჩოვა, მიხეილ სუსლოვი, სახაროვ-ბონერ სილიხანიანი – ზატიულინ-მიგრანიანები.

ყველა ობიექტურად მოაზროვნე ადამიანი დაგვეთანხმება, რომ დღეს ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ არც ისე



სახარბიელოა და თუ მხედველობაში მივიღებთ ერთი მხრივ ქართველთა ეთნოფსიქოლოგიას და მეორეს მხრივ იმ ფაქტს, რომ თითქმის ყველა ეს გიგანტური პარკი, რომელიც კრძალავს და უკიდურესად ზღუდავს სამეურნეო-სამიწათმოქმედო საქმიანობას, ჩაპროექტებულია იმ რეგიონებში, სადაც ჯერ კიდევ ასე თუ ისე, კომპაქტურად შემორჩა ქართული მოსახლეობა, აშკარა იქნება, რომ მოხდება ქართული მოსახლეობის თანდათანობითი




განდევნა ამ ტერიტორიებიდან და მათი შეცვლა, რასაკვირველია, არაქართული მოსახლეობით, რომელიც საჭირო იქნება უცხოელი დამსვენებლების მომსახურეობისათვის. ეს შეიძლება დაფიქსირდეს, როგორც შორსგამიზნული ეკოლოგიურ-დემოგრაფიული გენოციდი, წარმოდგენილი რუკა დაფიქრების საბაბს იძლევა.

2) გიგანტომანია. ჩვენ სრულადაც არა ვართ წინააღმდეგი საერთოდ ეროვნული პარკების მშენებლობისა, მაგრამ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ვერც დავეთანხმებით უცხოელ სპეციალისტებსა და მათ პარტნიორ ქართველ კოლეგებს, პატარა საქართველოში ასეთი გიგანტური ფართობების მქონე ეროვნული პარკების მშენებლობის მიზანშეწონილობაში, მითუმეტეს, რომ მსოფლიოში მას ანალოგი არ მოეპოვება. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ფუნქციონირების დაწყების შემდეგ ეს გიგანტური პარკები უნდა დააწვეს ჩვენს გალატაკებულ ბიუჯეტს, რომელსაც 10-20 ლარიანი პენსია-ხელფასები ვერ გაუსტუმრებია.

ამასთან ერთად, საქართველოში ერთი ეროვნული პარკის ფართობი საშუალოდ გამოდის 200 ათასი ჰა (?!).

ახლა ვნახოთ რას გვეუბნება ამ თვალსაზრისით მსოფლიო პრაქტიკა.

გერმანიაში ორად-ორი ეროვნული პარკია 22 ათასი ჰა ფართობით, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 0,09% ესპანეთში 9, 160 ათას ჰა-ზე, ქვეყნის ტერიტორიის 0,3%, იტალიაში 5, 271560 ჰა, ტერიტორიის 0,9%, საფრანგეთში ანალოგიური ციფრებია – 6, 298293 ჰა – 0,59%; ნიდერლანდებში – 3, 11410 ჰა – 0,3%; საბერძნეთი – 10 – 16900 ჰა – 0,4% და ა.შ.

აი, პატივცემულო მკითხველო! ავიღოთ ევროპის ქვეყნების ეს მონაცემები და შევადაროთ საქართველოსას და აღარ გამამტყუნებთ, თუ ამ გიგანტომანიით შეპყრობილ პროექტს საქართველოსადმი ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ დივერსიას დავარქმევ.

ევროპასთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი მონაცემები: ევროპაში ერთი ათას ჰა-მდე ფართობის ეროვნული პარკი არის ერთი (ბულგარეთი); 1,0 – 5,0 ათას ჰა-მდე ფართობისა – 10; 5-10 ათას ჰა-მდე – 2; 10-20 ათას ჰა-მდე – 8; 20-30 ათას ჰა-მდე – 6. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

3) მასობრივი „მსუბუქი ტურიზმის“ პრობლემა. პროექტში ჩადებულია მასობრივი ე.წ. მსუბუქი ტურიზმის ანუ ეკოტურიზმის განვითარება, რომელიც თურმე საქართველოს უზარმაზარ შემოსავალს მოუტანს. ეკოტურიზმის წინააღმდეგი არავინ არაა, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ ზომა, წონა და ფორმა. 7 უზარმაზარ ეროვნულ პარკში მოსულ ტურისტებს მომსახურება ხომ უნდათ? ყველა ნორმალურ ქვეყანაში ერთ ტურისტზე ორი მომსახურე პერსონალი მაინცაა გათვალისწინებული. 2-3 მლნ ტურისტს თუ ავიღებთ, მათ 4-6 მლნ მომსახურე მაინც უნდა; ეს კი მთელი საქართველოა.

4) სოფლის მეურნეობის განვითარება. ამ პროექტის მიხედვით ბევრგან მთლიანად იკრძალება, ბევრგან კი თანდათანობით შეიზღუდება და განიდევნება მდიდარი ტრადიციების მქონე ქართველი მიწათმოქმედი და მეურნეობა ფართო არეალიდან; ამის მცდელობა უკვე იყო გურიაში.

ეს თუ ასე განხორციელდება, მაშინ ეს ქართული სოფლის მეურნეობის სრული ფიასკო იქნება. ამიტომ ასეთი პროექტი საქართველოსათვის მიუღებელი უნდა იყოს.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, საყურადღებოა კიდევ ერთი პრობლემა. საპარკე მეურნეობის პირობებში ვინ მოამარაგებს ან საიდან უნდა მომარაგდეს აქ არსებული მოსახლეობა საწვავი შეშით?

5) ეკოლოგიური პრობლემა. როგორც უკვე ითქვა, პროექტი გულისხმობს არსებული სახელმწიფო ნაკრძალების დამოუკიდებლეობის გაუქმებას და მათ შერწყმას ეროვნულ პარკებთან, რაც კატეგორიულად გაუმართლებლად და ამასთან ერთად, უაზრობად მიგვაჩნია.

6) გარემოს დაცვა. გარემოს დაცვას რომ ქართველ კაცს ვერავინ ასწავლის, ამას მოწმობს ის ბუნებრივი სიმდიდრე, რაც ჯერ კიდევ შემოგვრჩენია. ამიტომ გარემოს დაცვა თვითმიზანი არ უნდა იყოს, როგორც ეს პროექტშია ჩადებული, არამედ იგი უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომპლექსურ-ჰარმონიულ გადაჭრას ერის ინტერესების სასარგებლოდ.

სხვანაირად, უცხოელთა თვალის საამებლად და გასართობად ხელუხლებლად შენახული ბუნება უქართველოდ ვერაფერი ნუგეში იქნება.

7) მოსახლეობის ინტერესები. სხვათა შორის, თავის დროზე სახელმწიფოს მეთაურმა დაავალა შესაბამის ორგანოებს, ფართო მსჯელობის საგნად გაეხადათ ეროვნული პარკების პროექტი, კერძოდ კი, მოსახლეობისათვის გაეცნოთ ყველგან და საქმის კურსში ჩაეყენებინათ იგი, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ გაკეთებულა.

არადა, რატომ არ ვეკითხებით ამ რეგიონების მოსახლეობას, სურს თუ არა იცხოვროს თავისებურ რეზერვატებში, ლიმიტირებული სოფლის მეურნეობის პირობებში და იქცეს უცხოელთა მოსამსახურედ ან თავისებურ სამუზეუმო ექსპონატად. ასევე პროექტი არ გამხდარა სპეციალისტთა ფართო წრეების მსჯელობის საგანი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პროექტი, მომხდარი ინციდენტის შემდეგ, ახლა მაინც უნდა გახდეს ფართო მსჯელობის საგანი და მწვანე შუქი მიეცეს მხოლოდ სათანადო და შესაბამისი გადამუშავების შემთხვევაში, ქვეყნისა და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით. თუ არა და ასეთი სახით ამ პროექტის შემდგომი განხორციელება მიგვაჩნია, რომ გამოიწვევს არა ქვეყნის რეგენერაციას, არამედ დეგენერაციას.

დასკვნების სახით კი:

1) მიგვაჩნია, რომ გიგანტომანიით შეპყრობილი ეს პროექტი წარმოადგენს თავისებურ ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ დივერსიას საქართველოსათვის.

2) საქართველოში დაცული ტერიტორიების ფართობი არ უნდა აღემატებოდეს ქვეყნის საერთო ფართობის 5-6%-ს, რაც შეადგენს 350-400 ათას ჰა-ს და რაც სრულიად ოპტიმალურია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ამდენად, გაუმართლებელი და მიუღებელია 20%-იანი პროექტი.

3) საქართველოში ამჟამად 20 სახელმწიფო ნაკრძალია (დაახლოებით 160 ათასი ჰა საერთო ფართობით) და ყოვლად გაუმართლებელია მათი დამოუკიდებლობის ანულირება და მათი დაქვემდებარება ეროვნული პარკებისათვის.

4) მიზანშეწონილად და საქართველოსათვის ოპტიმალურად უნდა ჩაითვალოს 10-15 ათას ჰექტარიანი ეროვნული პარკები, რაც ევროპულ სტანდარტებს და ჩვენი ქვეყნის ინტერესებს სრულიად შეესაბამება და აკმაყოფილებს ეროვნული პარკებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რომელიც ჩადებულია პროექტში.

5) ასეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტები არ უნდა იყოს ამა თუ იმ კასტის, ჯგუფის, კლანის პრეროგატივა, ისინი ყოველთვის უნდა გახდეს სპეციალისტთა ფართო წრისა და მოსახლეობის ფართო ფენების მსჯელობის საგანი.

ბიძინა თავაძე

*საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვების“ პრეზიდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციების კონგრესის წევრი.*

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №31-43

## წარსულის ფურცლები

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან

### 25 ოქტომბერი

„კომუნისტში" მოთავსებულია ლევ. მეტრეველის ფელეტონი „დარიალის ხეობაში". ის თურმე გზათ ახლდა ფრანგ ჟურნალისტს, მოსკოვისაგან მოწვეულ საქართველოს საძაგებლათ და მოსკოვის გასამართლებლად მოსულ დავიდს, აგვიწერს დარიალის ხეობას. თავდაჭერილი წერილია, შიგ თითქმის არაფერი რენეგატური, გარდა იმისა, რომ „ამხანაგს" უწოდებს დავიდს. და დავიჯერო, რომ პატრიოტმა ლევ. მეტრეველმა განზე, ორი სიტყვით მაინც არაფერი უთხრა უცხოულ კაცს, რომელიც ასეთ საზიზღარი მისიით ჩამოვიდა საქართველოში? დავიჯერო, რომ ლევ. მეტრეველს ასე მალე შეაშრა ეროვნული ცრემლები, მწარე ცრემლები, რომლითაც ის ჯერ კიდევ შარშან ასე გულსაკლავად დასტიროდა ქართულ ენას და ქართულ კულტურას? ეხლაც მესმის მისი შარშანდელი სიტყვები მის მიერ შეკრებილ ქართულ ანდაზებზე და იგავ-არაკებზე, ეხლა მალელვებს ის ღრმა გრძნობა და სიყვარული, რომლითაც ის „ქართული სიტყვის" ფურცლებზე თავს ევლებოდა ქართულ კულტურას და დავიჯერო, რომ რაღაც ერთ წელში, თითქმის უფრო მცირე ხანში, ასე დაეწრიტათ იმედი ჩვენს მწერლებს, ასე გაიყინენ ისინი, რომ თვით საქართველოს უცხოელ მტრებსაც კი ეგუებიან და ამ შეგუების დროს შეუძლიათ ასე პირწმინდათ დაივიწყონ და დამარხონ ჯერ კიდევ გუშინ განცდილი, რომელიც დღესაც გულის სიღრმეშია ჩამოწოლილი და ქართველ კაცს, რაგინდ მოღალატე არ გახდეს ის, მაინც არ მოშორდება?.. ვერ დავიჯერებ ამას მე, ვერა... და ვიფიქრო, ვიქონიო იმედი, რომ ლევ. მეტრეველმა ერთმა ერთთან გაუმხილა უცხოელს და უთხრა საქართველოს გულის ნამდვილი ზრახვები?.. ჰო, თუ ეს ვერ გაბედა მან, ის ქართველი მწერალი კი არა უბრალო კაცუნა ყოფილა, მას სიყვარულის კი არა მრუშის გრძნობა ქონია... სიყვარული იმას კი არ ქვია, რომ კახპასავით ყველას კალთაში უგორდებოდე, არა, ქართული და საქართველოს სიყვარული და მითუმეტეს ქართველი მწერლის სიყვარული მუდამ იყო საქართველოში მაღალი სიყვარული, ერთი სიყვარული, გაუცვლელი სიყვარული... და ვინც ქართველი მწერლის სახელს არ ატარებს და ამას კი ღალატობს, ის ყველა მოღალატეზე უფრო მოღალატე და საზიზღარია... მე არ მაქვს საბუთი ასეთი რამ მივაწერო ლევ. მეტრეველს. ვინ იცის, იქნებ ქართველმა მწერალმა დასძლია მასში უბრალო სიცოცხლის მოყვარულ ადამიანს და იმდენი რაინდობა გამოიჩინა, რომ ერთმა ერთს, პირისპირ გადმოუნთხია უცხოეთიდან მოსულს, უცხო დამპყრობისაგან გამოგზავნილს საქართველოს ნაღველი და გულის შხამი. დეე, დამრჩეს ეს იმედი მე, ღალატისთვის მერმეც მოესწრება ჩვენი მომავალი და ზიზღის მიძღვნას და მოღალატის დასაფლავებას...

მეტრეველის წერილში ერთი სამწუხარო ცნობაც არის. ქისტები კვლავ აწუხებენ ხევსურებს. მის იქ ყოფნის დროს აუკლიათ ერთი სოფელი. მოუკლავთ ორი კაცი, ტყვეთ წაუყვანიათ 20 და აუარებელი ჯოგი გაუდენიათ. საერთოთ უკანასკნელ წლებში საშინელი ცნობები მოდის ფშავ-ხევსურეთიდან. მცხოვრებთა რიცხვი კლებულობს. ქისტებისაგან შეწუხებული ქართველობა იყრება ადგილებიდან და ეშვება კახეთისაკენ. ეს კი ჩვენი ნამდვილი ეროვნული უბედურებაა. იმ დღეს, როცა საქართველო დაჰკარგავს აღმოსავლეთ საქართველოში მთას იქითა ფერდობებს და საქართველოს ისტორიულ ავანპოსტებს მტერს დაუთმობს. აი, სწორეთ იმ დღეს დაიწყება საქართველოს დაღუპვა და განადგურება. ამის საუკეთესო გაკვეთილია დვალეთი. როცა საქართველომ დვალეთი დაკარგა, მან ვერც როკზე შეჩერდა და ქართლის გულს შემოაზარდა ოსეთი, რომელმაც უდიდესი დამშლელი და გამხრწნელი როლი ითამაშა აღორძინებულ საქართველოსთვის და ეხლაც ის უდიდესი მტკივანი ადგილია ქართლის გულზე. საქართველო რა პირობებშიდაც არ უნდა დარჩეს ის, დაპყრობილი იქნება, თუ თავისუფალი, მთელი თავისი ენერგიით უნდა შეებრძოლოს ფშავ-ხევსურეთის დასუსტებას, მან უნდა შექმნას ისეთი პირობები, როცა ამ მივარდნილ მთებში ცხოვრება შესაძლებელი გახდება და ხალხის სიცოცხლეც უზრუნველყოფილი იქნება. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ფშავ-ხევსურეთი საქართველოს უძლიერესი ლაშქარია ჩრდილო საზღვრების დასაცავათ და თუ ეს ლაშქარი შედრკა და უკან დახევა დაიწყო, ვაი მაშინ ჩვენ, მაშინ საქართველოს დანგრევის და სრული მოსპობის დასაწყისი დაუდგება... განა ის არ გვეყოფა ჩვენ, რომ მთელი სამხრეთ საქართველოს და აღმოსავლეთის საზღვრები წართმეული და შემოტრეტილი გვაქვს, რომ გულგრილათ უცქიროთ ფშავ-ხევსურეთის აყრას და ჩვენი საზღვრების ციხე-სიმაგრეების დანგრევას?



### 27 ოქტომბერი

საქართველოში ომის უკანასკნელმა ეპიზოდებმა დიდი არევ-დარევა შეიტანა მტრის ბანაკში. თუ გუშინ ყვიროდენ „ყველაფერი რიგზე გვაქვს", დღეს ყველაზე შეურიგებელი კოლონიზატორებიც კი იძულებული არიან აღიარონ თავისი რუსული პოლიტიკის შეცდომები და თითქმის გაკოტრება. საქართველოზე გაბატონებული ჯგუფის პირით კვლავ აგრძელებს მოსკოვი თავისი შეცდომების აღიარებას და რუსიფიკაციის რამოდენიმეთ მაინც შერბილებას ფიქრობს. ეს გამოიხატა საქ. კომპ. ცეკას პლენუმის დადგენილებებში, სადაც მტერმა მთელ ფრონტზე იწყო უკან დახევა და რაც მთავარია – სრული მორალური უმწეობა გამოააშკარავა. ამ დადგენილებებს დასტრიალებს თავს ოკუპანტების პრესა საქართველოში და ცდილობს დაიწყოს მაინც დადგენილებათა განხორციელება, რომ ერთგვარი მოჩვენება მაინც შექმნას ხალხთან დაკავშირებისა. ამ საკითხზე დიდი წერილით გამოვიდა სერგო ორჯონიკიძე. ეს წერილი დღეს წავიკითხეთ „ზარ.ვოსტ" და „კომუნისტის" ფურცლებზე. ეს, ასე ვთქვათ, პროგრამული გამოსვლაა. ის, რა ცეკას დადგენილებებში არ არის ბოლომდე ნათქვამი, არ არის სავსებით გამხელილი, აქ – ორჯონიკიძის წერილში – გადაშლილია მთელი თავისი შინაარსით... და მერე რას ლაღადებს ის? ეს მართლაც ლაღადისია იმაზე, თუ რა საშინელ პირობებში ჩააყენა დამპყრობმა რუსეთმა საქართველო, თუ როგორ პოლიტიკურ, ეროვნულ და ეკონომიკურ დესპოტიის უღლის ქვეშ გმინავს ერი და თუ რა სარჩელი, რა მიზეზები იდო საფუძვლად აგვისტოსექტემბერში მოთმინებიდან გამოსულ ქართველი ხალხის მიერ რუსეთის წინააღმდეგ განახლებულ ომს. ეროვნული მონობა, ეკონომიკური განადგურება და სარწმუნოებრივი დევნა – აი რა, მოუტანია თურმე საქართველოსთვის იმ „წითელ" დროშას, რომლის სახელით მოსკოვმა დაკლა საქართველო და „პროლეტარიატის" გამარჯვებისათვის საქართველოს შეუფურთხა და შეუგინა ყველა პროლეტარული და სოციალისტური სიწმინდენი. მიეცით გლეხებს ეკლესიის კლიტეები, დაანებეთ თავი მის გაძარცვას, გვეყოფა ამდენი კლუბები და ახალი დაუმთავრებელი ელექტროსადგურების დაწყება, შეამოკლეთ გადასახადები, განდევნეთ უცხო ბიუროკრატი ჩინოვნიკები და რუსეთიდან შემოსული შავრაზმელები – ასე ყვირის ბ-ნი ორჯონიკიძე და ისე გეგონებათ ერთის შეხედვით, თითქო ყველაფერი ეს მან დღეს გაიგო და ყველაფერი ეს ნაკეთებია ვიღაც გარეშე მათთვის უცნობ ხელებით. მერე და ვინ მოიყვანა ეს რუსი ჩინოვნიკობა, ვინ ჩამოასახლა ხელმორეთ საქართველოში ეს გოროდცევის და ტიმოშკინის წიწილები, ვის შეყავდა ეკლესიებში ვირები, მაშინ როცა ისლამის გულის მოსაგებათ მოსკოვის მთავრობა მახმადის ჩალმას იდგამდა თავზე, ვინ სჩადიოდა ისეთ დონ-კიხოტობას და მატრაკვეცობას, რომ მშიერ გლეხს, უპერანგოს, რომელსაც თოხი და ბარი არ მოეძებნება მეურნეობისათვის, აშენებინებენ კლუბებს, ელექტროსადგურებს, კინემატოგრაფებს, ახდევინებდნენ ათას ბეგარას: გერმანიის რევოლუციისათვის, ჩინეთის „რუკი პროჩისათვის", იაპონიის მიწისძვრისათვის, რემედასისთვის, საერო ფლოტისთვის, ქიმიური ომისთვის და რისთვის არ გინდა, იქ სოფელში ყოველი მოხელე და ყოველი დაწესებულება თავისი გეგმების შემდგენი და თავისი გადასახადების გამწერი იყო. და ყველაფერი ეს ახლა გაიგო მოსკოვმა და მისმა განწესებულმა მთავრობამ, მან თითქო ეხლა გაიგო, რომ საქართველოს რუსეთის გაპარტახებული და გავერანებული მრეწველობის ნაწარმოებთა გასაღებისთვის, აქვს დღეს ყველა დღემდე არსებულ კოლონიებზე უფრო შემზარავი და საშინელი სახე, რომ ქართველ ხალხს არასოდეს არ მოსწრია ასეთი მძიმე და აუტანელი ბეგარა მხოლოდ იმისთვის, რომ რუსეთის საშველი საუკუნომდე ჩამოსულ მრეწველობას ბაზარი ესაჭიროება... ორჯონიკიძის წერილი გვიშლის სურათს საქართველოს ეროვნული ენერგიის სრული შებორკვისა და ქვეყნის ეკონომიკური გაპარტახებისა. ამ წერილიდან ნათლად ჩანს თუ რაოდენი როლი ითამაშა ეკონომიკურმა დიქტატურამ და რუსეთის ძვირმა საქონელმა ქართველი ხალხის აჯანყებაში. ეროვნულს დაემატა ეკონომიკური, ამას კიდევ სარწმუნოებრივი და მოსკოვმა მიიღო ჯამი თავის ნასაქმარისა, ქართველმა ხალხმა მას უთხრა: არც შენი რუსი ჩინოვნიკობა და რუსი მუშები მინდა, არც შენი ძვირი და უვარგისი საქონელი და არც შენი „კულტურული გაბედნიერება", რომელიც მხოლოდ მასკარადია და ნამდვილ კულტურასთან არაფერი საქმე არ აქვსო.

მოსკოვის გაზეთებში დეპეშაა საქართველოდან: მთავარ სახელოსნოს ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა კრებამ გამოიტანა დადგენილება მომხდარ ამბებზე და მოუწოდებს არალეგალურ ს.დ. ორგანიზაციებს დაანებონ თავი მუშაობას. რადგან ის ისეთივე შედეგებს მოგვცემს, რაც დღემდე მოგვცაო. ცხადია, საქართველოში აღმდგარა ორგანიზაციები. ვფიქრობდით, რომ დამარცხების შემდეგ ის დიდხანს ვერ წამოდგებოდა ფეხზე. ეს ფაქტი კი დამახასიათებელია. სჩანს საქართველოში ისე ძლიერია ს.დ. ორგანიზაციები ანტირუსული მოძრაობა, რომ მას ნიადაგი არ გამოეცლება და თვით ასეთ საშინელ მომენტებში კი მისცემს ორგანიზაციებს კადრებს თავგანწირულ მებრძოლებისას. ეს ნიშნავს ერის მორალურ მთლიანობას. საქართველოს ეროვნულ და პოლიტიკურ სიმწიფეს, ის მაჩვენებელია იმის, რომ საქართველო რაგინდ ხანგრძლივ ტანჯვაში არ დარჩეს, ის მაინც დააღწევს თავს მონობას და განთავისუფლდება...

მოსკოვში ერთი კვირაა გაიხსნა ს.ს.რ.კ. ცაკის სესია. საინტერესოა დღევანდელი ანგარიშები საკავშირო სასამართლოების შესახებ. ორი მიმდინარეობა იბრძვის. ერთია ნაციონალური, რომელიც ფიქრობს დამოუკიდებელ რესპუბლიკების ზოგ პრეროგატივების შენახვას მაინც, ხოლო მეორე თავს უყრის ყველაფერს და „სოციალიზმის საქმეს ამაგრებს". ერთმანეთს ველიკოდერჟავნიკები და ნაციონალისტებიც კი უწოდეს. ქართველი მიხო ცხაკაია, რასაკვირველია, კოსმისს არ ღალატობს და რუსეთის თავის მოყრას ემსახურება. მედგრათ იცავს თავის ინტერესებს უკრაინა, წარმოიდგინეთ აზერბაიჯანიც კი ფაფხურობს... ცხოვრებას თავისი გააქვს, ახლად თავმობრილი საბჭოური იმპერიის სახსრები მწიფდება, თვით კომუნისტურათაც კი მხოლოდ ეროვნული სახსრებით მწიფდება, ისტორია იტყვის თავის სიტყვას, ის თავის კანონს ადრე თუ გვიან ცხოვრებაში გაატარებს – საბჭოურ იმპერიასაც კი, განსაზღვრული პროცესის შემდეგ ეროვნულ სახსრებში დაშლის და მით დაამთავრებს 1917 წ. დაწყებულ ერთა თვითგამორკვევის და სახელმწიფოებათ ჩამოყალიბების პროცესს.

### 28 ოქტომბერი

ფრანგულ „ერნუველში" საქართთველოზე წერილი ყოფილა. მოსკოვის გაზეთები მას რაცხენ მთავრობის მომხრე ორგანოთ. წერილის შინაარსი დაახლოებით მოსკოვის აზრს უთანხმდება და მოსკოვის ცნობებს ემყარება საქართველოში მომხდარ ამბებზეო. ძვირი დაუჯდა ალბათ მოსკოვს ეს წერილი. ევროპაში ხომ აზრიც ფულზე იყიდება, მაგრამ დამახასიათებელია მაინც ეს წერილი, ის ნიშნავს საქართველოს საკითხში უკან დახევას. შეიძლება პარიზმა, ისე ნაკლებ დაიცვას დაპყრობილი საქართველო, როგორც ლონდონმა ქნა მაკდონალდის პირით. ამით ამოიწურება ერთი პერიოდი საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლისა. მისი საერთაშორისო ხასიათი ამხანად დამთავრდება. ბრძოლა გადმოვა ს.ს.რ.კ-ის შიგნით და მის კონსტიტუციის ნიადაგზე, რომ ამ იძულებით შეთრეულ საკავშირო მდგომარეობაში ასე თუ ისე გაგრძელდეს საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია, რომ ერი ახალ ისტორიულ ეპიზოდებს და რუსეთის მომავალ და აუცილებელ კრიზისს უკვე გარკვეული ეროვნული იდეოლოგიით შეხვდეს.

გრიგოლმა მიიღო სახლიდან წერილი. სწერენ სოფლის გადასახადებზე. მისი მოხუცებისთვის ასი მანეთი შეუწერიათ. საშვალო გლეხის შეძლებაც არ აქვს და ამოდენა გადასახადი?.. „ჩვენზე მეტი სხვებს აქვსო". რაღაც საშინელი დაბეგვრა და სპარსული გადასახადები უნდა არსებობდეს დღეს საქართველოში. ასეთი გადასახადები ჩვენ სოფელს არ ღირსებია არც ერთ შავ დროსაც კი... ეს პირდაპირი გადასახადები და ამაზე მეტი იქნება ხომ არაპირდაპირი? არაპირდაპირის გარდა ხომ იხდის ქართველი ხალხი ე.წ. „ნებაყოფლობით" გადასახადებს. დღეს, მაგალითად, გაზეთების ანგარიშით საქართველოში მოგროვილა 20 ათასი საჰაერო ფლოტისათვის, 40 ათასი სემედასისთვის, ამას წინეთ შეაგროვეს 60 ათასი გერმან. რევოლუციისათვის. ამას დაუმატეთ ათასი სხვა ბეგარა გლეხკომების თუ სხვა სახით და მართლაც საშინელ სურათს მივიღებთ... საქართველოს საფუძველი გლეხობაა, ერის ძარღვი სოფელია და როცა სოფელი ასეთ ეკონომიკურ დაბეგვრას იტანს, მაშინ მისი განვითარება და აღმშენებლობა იკვეცება, ნადგურდება და ეროვნული სიმდიდრე გამოფიტვის გზას ადგება... ჭეშმარიტად უდიდესი საფრთხე უდგას წინ საქართველოს.

გამართლდა ვეშაპელზე. ის ყველაფერში პირველია. ემიგრაციიდან ვეშაპელმა პირველმა ესროლა ქვა საქართველოს (კახპის სიყვარული ანგარიშის სიყვარულია. ვინც ყველას უგორდება კალთაში, ის ოჯახს ვერ დაიცავს და სიყვარულს ვერ შეინახავს).

რაღაც ან დიდი სიგიჟე უნდა სჭირდეს ჩინეთს და ან დიდი ქონება უნდა ქონდეს. რა უძლებს ამოდენ რევოლუციებს. რაც თავი მახსოვს, ჩინეთის რევოლუცია „ვითარდება". დღესაც მთავრობა გადმოვარდნილა. გენერლები შიდა სართულიანი გვარებით ერთმანეთს ებრძვიან...

დღიურები მოგვაწოდა
ისტორიკოსმა
გრიგოლ ზარქუამ

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცნობ მეზობელს? ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?

## წერილი 6
## რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გავლენა და შესაძლებლობები ცივი ომის პერიოდში

ცივი ომის ათწლეულების განმავლობაში რუსეთის ფედერაცია მისი დღევანდელი სახითა და ხელმძღვანელი სტრუქტურებით არ არსებობდა. მაგრამ მისი ფაქტობრივი და იურიდიული გავლენა მეტნაკლები პირდაპირობითა და ძალით ვრცელდებოდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოებსა (აღმოსავლეთ გერმანია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და იუგოსლავიაზე (ევროპაში), სირიაზე, ერაყსა და თურქეთის ქურთისტანის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობაზე (ახლო აღმოსავლეთსა და წინა აზიაში), ინდოეთზე (აღმოსავლეთ აზიაში), აგრეთვე მთელ რიგ სახელმწიფოებზე ინდოჩინეთში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში.



დასავლური და ბოლო წლების რუსული სამხედრო პერიოდისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მონაცემებით, ცივი ომის განმავლობაში ვარშავის პაქტის სახელმწიფოები სახმელეთო ჯარების რიცხოვნებითა და შეიარაღების რაოდენობით მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ ჩრდილოატლანტიკური კავშირის მონაწილე ქვეყნების სახმელეთო ჯარებს (არმიებს). კერძოდ, 1988 წლის მდგომარეობით, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და პოლონეთში განლაგებული იყო 30-ზე მეტი მარტო საბჭოთა სატანკო და მოტომსროლელი დივიზია, ხოლო საბრძოლო ტანკების რაოდენობით ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ჯარები თითქმის 2,4-ჯერ აღემატებოდნენ ნატოს სამოკავშირეო ჯარებს (შესაბამისად 56000 და 23700 საბრძოლო მანქანა, თანაც სოციალისტური ბანაკის 56000 ტანკიდან დაახლოებით 41000 იყო საბჭოთა). სამაგიეროდ, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სერიოზული უპირატესობა გააჩნდა საჰაერო ძალებსა და საზღვაო ძალებში.

ყოფილ საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში მიღებული გეოსტრატეგიული დანაწევრებით ბლოკის ტერიტორია იყოფოდა საომარ მოქმედებათა თეატრებად (ომთ). ესეთი იყო დასავლეთის, სამხრეთ დასავლეთის, სამხრეთისა და შორეული აღმოსავლეთის საომარ მოქმედებათა თეატრები, ჩრდილოეთის ფრონტი და ცენტრალური რეზერვი თითოეულ ამ თეატრზე განლაგებული ჯარების სამოქმედო სივრცეს ეწოდებოდა შესაბამისი (დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, შორეული აღმოსავლეთის) სტრატეგიული მიმართულება.

დასავლეთის ომი მოიცავდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთსა და სსრკ-ის ბალტიისპირეთს, ბელორუსიასა და კარპატისპირეთის სამხედრო ოლქების ტერიტორიებს. აქ იყო განლაგებული ვარშავის პაქტის ყველაზე უფრო მსხვილი სახმელეთო და საჰაერო დაჯგუფებები, რომლებსაც ევროპაში მოსალოდნელი მსხვილმასშტაბიანი კონფლიქტის შემთხვევაში საჰაერო-სახმელეთო ოპერაციები უნდა ეწარმოებინათ ნატოს ცენტრალურ-ევროპულ ომთ-ზე განლაგებული ამერიკული, ბრიტანული, დასავლეთგერმანული, ბელგიური, ჰოლანდიური და კანადური შენაერთებისა და ნაწილების წინააღმდეგ.

იმავე 1988 წლის მონაცემებით აღმოსავლეთ გერმანიაში განლაგებული იყო 29 საბჭოთა დივიზია (სავარაუდოდ 8 სატანკო და 11 მოტომსროლელი), ჩეხოსლოვაკიაში 5 დივიზია (ამათგან 1 ჩეხეთსა და 4 სლოვაკეთში), პოლონეთში კი 2 მოტომსროლელი დივიზია. ამას ემატებოდა საკუთრივ ამ სახელმწიფოთა სატანკო, მოტომსროლელი და მექანიზებული დივიზიები და ბრიგადები, საჰაერო-სადესანტო, სპეციალური დანიშნულების, საარტილერიო, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების, საარმიო და ტაქტიკური ავიაციის შენაერთები და ნაწილები. მათ რეზერვს კი ქმნიდნენ საბჭოთა კავშირის ბალტიისპირეთის, ბელორუსიისა და კარპატისპირეთის სამხედრო ოლქებში განლაგებული საბჭოთა ჯარები.

1991 წლის მონაცემებით, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ნაწილობრივ უკვე გამოყვანილი იყო საბჭოთა შენაერთები და ნაწილები, ხოლო აღმოსავლეთ გერმანია დასავლეთ გერმანიაში იყო გაერთიანებული, დასავლეთის ომთ-ზე მთლიანობაში განლაგებული იყო ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა 27 სატანკო, 33 მოტომსროლელი, 9 მექანიზებული, 3 საჰაერო-სადესანტო, 6 საარტილერიო დივიზია, 28 ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების, 26 საარტილერიო, 5 საჰაერო-სადესანტო, 2 სპეციალური დანიშნულების, 21 დამრტყმელი ვერტმფრენების ბრიგადა-პოლკი. შეიარაღებაში კი მათ გააჩნდათ 17 800-ზე მეტი საბრძოლო ტანკი, 16000-ზე მეტი მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 13450-მდე საველე საარტილერიო სისტემა, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური რაკეტების 500-ზე მეტი გასაშვები დანადგარი, 850-ზე მეტი დამრტყმელი და შეიარაღებული ვერტმფრენი. საჰაერო კომპონენტის შეიარაღებაში კი შედიოდა და 2690-მდე საბრძოლო თვითმფრინავი და საჰაერო თავდაცვის 420 ავიაგამანადგურებელი.

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალურ ნაწილში განლაგებული ვარშავის პაქტის ჯარების სავარაუდო მიზნები და ამოცანები, ნატოელ ექსპერტთა აზრით, უნდა ყოფილიყო პირისპირ მდგომი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ცენტრალურ-ევროპულ საომარ მოქმედებათა თეატრზე განლაგებულ არმიების ჩრდილოეთის ჯგუფის (ბრიტანული რეინის არმია, დასავლეთგერმანული პირველი საარმიო კორპუსი, ბელგიური და ჰოლანდიური საარმიო კორპუსები) წინააღმდეგ ჰამბურგ-ბრემენის მიმართულებით შეტევითი მოქმედებების დაწყება, გფრ-ის ჩრდილოეთ ტერიტორიების, ბელგიის, ნიდერლანდების და ლუქსემბურგის უსწრაფესი ოკუპირება და შემდეგ სამხრეთ-დასავლეთისკენ შემობრუნებითი პარიზის მიმართულებით შეტევის განვითარება.

ვარშავის ბლოკის ჯარების ამ ოპერაციებს რამდენიმე კვირაში უნდა მოჰყოლოდა ჩრდილო საფრანგეთის ოკუპირებულ პარიზის ჩათვლით და ესპანეთის საზღვარზე შემდგომი გასვლა.

ამავე ოპერაციებისას ჩრდილოეთის ფლანგის უზრუნველყოფის მიზნით უნდა გაეთვალისწინებინათ დანიის დასაპყრობად დამოუკიდებელი მიმართულებით ძალებისა და საშუალებების გამოყოფაც (აღმოსავლეთ გერმანულ და საბჭოთა შენაერთებსა და ნაწილების შემადგენლობით).

აღნიშნული შეტევითი მოქმედებების ძირითადი მიზანი იყო დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის მოშლა. მართვის დეზორგანიზება. საფრანგეთის ჩრდილო და დასავლეთ სანაპიროებზე განლაგებული საზღვაო პორტების(ჰავრი, შერბური, ბრესტი, ნანტი, ლა-როშელი, ბორდო) დაპყრობა და საკუთარი მრავალმიზნობრივი წყალქვეშა ნავებისა და წყალზედა საბრძოლო ხომალდების ბაზირებისათვის მათი გამოყენება შეერთებული შტატებიდან და კანადიდან ევროპაში ტრანსატლანტიკური საოკეანო სამხედრო გადაზიდვების მოშლა, რაც შეუძლებელს ხდის ნატოს მიერ ევროპაში რამდენადმე გახანგრძლივებული ომის წარმოებას.

მაგრამ ცენტრალურ-ევროპული ომთ-ს სამხრეთ ნაწილში განლაგებული იყო ნატოს სამოკავშირეო სახმელეთო ჯარების ყველაზე უფრო ძლიერი ოპერატიული გაერთიანება არმიების ცენტრალური ჯგუფის სახით, რომელშიც შედიოდნენ ორი ამერიკული საარმიო კორპუსი (მე-5 და 7), ორი დასავლური გერმანული საარმიო კორპუსი (მე-2 და 7) და კანადური ბრიგადა. ამ ჯარებს ძლიერი დარტყმის მიყენება შეეძლოთ ვარშავის პაქტის შემტევი ჯარების მარცხენა ფლანგისათვის, რითაც დიდ საფრთხეში ჩააგდებდნენ ჩაფიქრებული ოპერაციის წარმატებას. მათ წინააღმდეგ, როგორც ჩანს, ჩაფიქრებული იყო დამხმარე დარტყმების მიყენება სლოვაკეთისა და უნგრეთის ტერიტორიებიდან ავსტრიისა და იუგოსლავიის გავლით, როგორც ფედერაციულ გერმანიის სამხრეთ ტერიტორიების, ისე ჩრდილოეთ იტალიის მიმართულებით. ამ ოპერაციაში გამოსაყენებლად განკუთვნილ უნდა ყოფილიყო უნგრეთის, სლოვაკეთის, ნაწილობრივ რუმინეთისა და სსრკ-ს ოდესისა და კიევის




სამხედრო ოლქებში განლაგებული საჯარისო გაერთიანებები, შენაერთები და ნაწილები.

ამავე დროს ვარშავის პაქტის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შავი ზღვის სრუტეების ზონის(ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, მარმარილოს ზღვა და მათი სანაპირო ზოლი - საბერძნეთისა და თურქეთის თრაკია) დაკავებას ხმელთაშუა ზღვიდან შემომავალი კარიბჭის ხელში ჩაგდების მიზნით. აქ ორივე თრაკია (თურქეთსა და საბერძნეთს) უშუალოდ ესაზღვრება ბულგარეთი და სწორედ მის ჯარებს ეკისრებოდათ უპირველესი როლი აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად. ხოლო მათ დასახმარებლად ნაწილობრივ განკუთვნილი იყო იმავე რუმინეთსა და სსრკ-ს ოდესისა და კიევის სამხედრო ოლქის ჯარები.

მთლიანობაში 1991 წელს ვარშავის პაქტის სამხრეთ-დასავლეთ ომთ-ზე განლაგებული იყო 4 სატანკო, 23 მოტომსროლელი, 1 საჰაერო-სადესანტო და 1 საარტილერიო დივიზიები, 8 სატანკო, 9 მოტომსროლელი, 4 საჰაერო-სადესანტო, 13 ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების, 5 საარტილერიო და 1 დამრტყმელი ვერტმფრენების ბრიგადები შეიარაღებაში მათ გააჩნდათ 9000-ზე მეტი საბრძოლო ტანკი, 7200-ზე მეტი მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, დაახლ. 8800 საველე საარტილერიო სისტემა, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური რაკეტების დაახლ. 240 გასაშვები დანადგარი, 800-ზე მეტი დამრტყმელი და შეიარაღებული ვერტმფრენი. საავიაციო კომპონენტის შეიარაღებაში კი ნაჩვენები იყო 1500-მდე საბრძოლო თვითმფრინავი და საჰაერო თავდაცვის ავიაგამანადგურებელი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ამიერკავკასიის, ჩრდილო-კავკასიისა და თურქესტანის სამხედრო ოლქების ტერიტორიები შეადგენდნენ სამხრეთის საომარ მოქმედებათა თეატრის, რომლის ფარგლებში განლაგებული ჯარების სამოქმედო არეს ეწოდებოდა სამხრეთის სტრატეგიული მიმართულება. მათი ძირითადი ამოცანა, დასავლელი ექსპერტების აზრით, უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიიდან სამხრეთის მიმართულებით აღმოსავლეთ თურქეთის და შესაძლოა, ჩრდილო-დასავლეთ ირანის გავლით სირიისა და ერაყის ჯარებთან შეერთება და შემდეგ ერთობლივად შეტევითი მოქმედებების განვითარება ნავთობით მდიდარი სპარსეთის ყურის სახელმწიფოებისკენ, ხოლო შუა აზიის რესპუბლიკების ტერიტორიიდან, ირანის, ავღანეთისა და პაკისტანის გავლით ინდოეთის ოკეანისკენ. ასეთ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ სსრკ-ს მოკავშირედ პაკისტანის წინააღმდეგ აქტიურად გამოვიდოდა ინდოეთიც.

1991 წლის მონაცემებით სამხრეთის ომთ-ზე განლაგებული იყო საბჭოთა ჯარების 1 სატანკო, 25 მოტომსროლელი, 1 საჰაერო-სადესანტო და 1 სარტილერიო დივიზია, 6 სარტილერიო ბრიგადა-პოლკი, 1 საჰაერო-სადესანტო, 4 სპეციალური დანიშნულების ბრიგადა, დამრტყმელი ვერტმფრენების 4 პოლკი. მათ შეიარაღებაში მიითვლებოდა 5300 საბრძოლო ტანკი, 3000 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 4700 საველე საარტილერიო სისტემა, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური რაკეტების 208 გასაშვები დანადგარი, 190 დამრტყმელი ვერტმფრენი. ომთ-ზე განლაგებული საჰაერო კომპონენტის შეიარაღებაში იყო 1080 საბრძოლო თვითმფრინავი და საჰაერო თავდაცვის დაახლ. 600 ავიაგამანადგურებელი.

შორეულ აღმოსავლეთის ომთ-ში შედიოდა ციმბირის, იმიერბაიკალეთისა და შორეულ აღმოსავლეთის სამხედრო ოლქები. ასევე ერთი არმიის შტაბი მცირერიცხოვანი პირადი შემადგენლობით განლაგებული იყო მონღოლეთშიც. აქ სავარაუდო მოწინააღმდეგებად ითვლებოდნენ ჩინეთი, იაპონია და შეერთებული შტატები. ომთ-ის ტერიტორიაზე განლაგებული იყო საბჭოთა ჯარების 7 სატანკო, 35 მოტომსროლელი, 4 საარტილერიო და 3 სატყვიამფრქვევო-საარტილერიო(გამაგრებულ რაიონებში) დივიზია, 1 საჰაერო-სადესანტო, 3 ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების, 3 სპეციალური დანიშნულების ბრიგადა, დამრტყმელი ვერტმფრენების 10 პოლკი. მათ შეიარაღებაში შედიოდა 9700 საბრძოლო ტანკი, 9500 საველე საარტილერიო სისტემა, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური რაკეტების 220 გასაშვები დანადგარი, დაახლ. 550 დამრტყმელი (მოიერიშე) ვერტმფრენი. გარდა ამისა, ურალის ქედის აღმოსავლეთ საწყობებში შენახული იყო 16400 საბრძოლო ტანკი. 25000 საველე-საარტილერიო სისტემა და სხვა მძიმე ტექნიკა და შეიარაღება. რაც შეეხება ომთ-ზე განლაგებულ საჰაერო კომპონენტს, მის შეიარაღებაში 1991 წელს ნაჩვენები იყო 710 საბრძოლო თვითმფრინავი და საჰაერო თავდაცვის 470 ავიაგამანადგურებელი.

როგორც ვთქვით, მოსკოვის, ვოლგისპირეთისა და ურალის სამხედრო ოლქების ტერიტორიას ეწოდებოდა ცენტრალური სტრატეგიული რეგიონი და აქ განლაგებული ჯარები შეადგენდნენ ცენტრალურ რეზერვს, რომელსაც უმაღლესი მთავარსარდლის განკარგულებით საჭირო მიმართულებებზე უნდა გაეძლიერებინა მოქმედი ჯარები. 1991 წელს აქ მიითვლებოდა 3 სატანკო, 3 მოტომსროლელი და 1 საჰაერო-სადესანტო დივიზია, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების (მათ შორის 1 სასწავლო), 2 სპეციალური დანიშნულების ბრიგადა, 4 საარტილერიო ბრიგადა-პოლკი. დამრტყმელი ვერტმფრენების 2 პოლკი. მათ შეიარაღებაში ნაჩვენები იყო 2500 საბრძოლო ტანკი. 2000 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 1200 საველე საარტილერიო სისტემა, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების 54 გასაშვები დანადგარი, 270 დამრტყმელი ვერტმფრენი (მათგან 110 მარაგში). საჰაერო კომპონენტის შეიარაღებაში შედიოდა 520 საბრძოლო თვითმფრინავი, 220 დამრტყმელი ვერტმფრენი და საჰაერო თავდაცვის 510 ავიაგამანადგურებელი (მათგან 130 მარაგში).

ასეთი იყო ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის და შესაბამისად წ... თელი რუსული იმპერიის სამხედრო შესაძლებლობები და სავარაუდო მიზნები და ამოცანები ცივი ომის დასკვნით ეტაპზე; აქ არაფერი გვითქვამს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ბაზისების სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებაზე, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციაში მხოლოდ საბჭოთა კავშირს გააჩნდა, არც ზოგადი დანიშნულების საზღვაო ძალებზე, მაგრამ ზემოთ ერთგვარად სქემატურად წარმოდგენილი სურათი, ვიმედოვნებთ, მაინც საკმარისად ნათელ წარმოდგენას შეუქმნის ჩვენს მკითხველს. იმ სამხედრო ძალის შესახებ, რომელიც გააჩნდა რუსეთის ხელმძღვანელობას თავის განკარგულებასა და დაქვემდებარებაში და შესაბამისად როგორი უნდა ყოფილიყო მისი პოლიტიკური მიზნები და ამოცანები.

კახა კაციტაძე
ირაკლი ხართიშვილი

# ლავრენტი ბერიას ცხოვრების უკანასკნელი დღეები

ბერია ლავრენტი პავლეს ძე (1899-1953) – სსრკ უმაღლესი ხელისუფლების წევრი.

უბრალო გლეხის შვილი, მექანიკა-სამშენებლო ტექნიკუმის კურსდამთავრებული, შემდგომ ბოლშევიკური პარტიის წევრი და ჩეკისტი ბერია სსრკ-ში თითქმის ყველა არსებული თანამდებობის მფლობელი და შეძლებისდაგვარად განათლებული პიროვნება იყო (გარდა იმ წოდებებისა და თანამდებობის, რაც სტალინის კუთვნილებად ითვლებოდა).

სახელმწიფო უშიშროების აპარატის ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ შ.ს.ს-ის უფროსი სიცოცხლის უკანასკნელი წლების მანძილზე კოლოსალურ ძალაუფლებას ფლობდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერიას ზეგავლენის სფერომ საგრძნობლად იმატა, იგი ამით ქვეყნის პირველი პირის პრეტენზიას აცხადებდა.

ამ ამბით შეშინებული ხრუშჩოვი სასწრაფოდ ქმნის საიდუმლო კომპანიას, რომლის სათავეშიც თავად გვევლინება და ბერიას თანამდებობიდან გადაყენებას ისახავს მიზნად.

1953 წლის 26 ივნისს ბერია მიიწვიეს ცკ-ს.კ.კ.პ-ს პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც დააპატიმრეს კიდეც. 10 ივლისის გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის ცნობა: „ამ დღეებში გაიმართა ცკ-ს.კ.კ.პ-ს პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა ც.კ. პრეზიდიუმის წევრის ამხ. გ.მ. მალენკოვის მოხსენება ლ.პ. ბერიას ანტიპარტიული ქმედებების შესახებ, რომლებიც მთლიანად მიმართული იყო საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. სხვა ქვეყნის



კაპიტალის დაინტერესებით, ვერაგული მეთოდებით ცდილობდა სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავრობაზე და სკკპ-ზე მაღლა დაეყენებინა. მიღებულია გადაწყვეტილება გამოყვანილი იქნეს ბერია ცკ-სკკპ-ს შემადგენლობიდან და გაირიცხოს მისი რიგებიდან, როგორც კომპარტიის და საბჭოთა ხალხის მტერი.

ყოფილი მინისტრის და სახალხო კომისარის საქმის გამოძიება, ნახევარი წლის მანძილზე გრძელდებოდა. სასამართლო მიმდინარეობდა 18-დან 23 დეკემბრამდე. სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში აღინიშნებოდა, რომ ბერია გამოცხადდა უცხო ქვეყნის ჯაშუშად (სხვა ძველი ცოდვების ჩათვლით). განაჩენის გამოტანიდან რამოდენიმე დღის განმავლობაში ბერია იმყოფებოდა რეაქტიულ, აღგზნებულ მდგომარეობაში. შემდეგ კი დამშვიდდა და დახვრეტის დღეს საკმაოდ გულგრილად იქცეოდა.

ოფიციალური ვერსიის თანახმად 1953 წლის 23 დეკემბერს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი, მ.ს.ო-ის შტაბის ბუნკერში. სიკვდილით დასჯას ესწრებოდნენ: მარშალი კონევი, მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალი მოსკალენკო, ს.ს.ო ჯარების უფროსის პირველი მოადგილე ბაციცკი, პოლკოვნიკი იუფერევი და სხვა სამხედრო პირები.

მას გიმნასტურა გახადეს, მოგვითხრობს ა.ვ. ანტონოვ-ოვსიენკო – ტანთ მხოლოდ თეთრი პერანგი დაუტოვეს. ხელები უკნიდან თოკით გაუკრეს და ხის ფარს მიჭედებულ კავზე ჩამოჰკიდეს. ეს ფარი იქ მყოფთ იცავდა ტყვიების რიკოშეტისაგან.

რუდენკომ განაჩენი წაიკითხა:

*ბერია:* – მომეცით სიტყვის თქმის უფლება...

*რუდენკო:* – შენ უკვე ყველაფერი თქვი (სამხედროებს) პირსახოცი ჩასჩარეთ პირში და გააკმენდინეთ ხმა.

*მოსკალენკო (იუფეროვს):* – შენ ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდა ხარ და კარგადაც ისვრი? ხოდა მიდი.

*ბაციცკი:* – ამხანაგო უფროსო, ნება მომეცით (იღებს თავის „პარაბელუმს") აი ამით ფრონტზე არაერთი არამზადა გავისტუმრე იმქვეყნად.

*რუდენკო:* – გთხოვთ განაჩენის სისრულეში მოყვანას.

ბაციცკიმ ხელი მოიმარჯვა, სახევზე გაიელვა ბერიას საზარლად გადმოკარკლულმა თვალმა, მეორე მას დახუჭული ჰქონდა. ბაციცკიმ ჩახმახს ხელი გამოჰკრა და ტყვია შიგ შუბლში დაახალა. ბერიას უსულო სხეული თოკს ჩამოეკიდა.

ექიმის სათანადო შემოწმების შემდეგ ბერიას გვამი კრემატორიუმში წაიღეს.

ა. ავტორხანოვი სადაოს ხდის სასამართლოს შემდეგ ბერიას დახვრეტის ვერსიას.

„მე ჩემს მიერ გამოთქმული აზრის ერთგული ვრჩები – წერს იგი. არსებობს უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ ცკ-ს ივლისის პლენუმზე (1953წ.) და სსრკ-ს დეკემბრის გამართულ უმაღლეს სასამართლოზე (1953წ.) ცოცხალ, დაპატიმრებულ ბერიას კი არ ასამართლებდნენ, არამედ მკვდარს. ამიტომაც არ იქნა წაკითხული 1953 წლის დეკემბერს პლენუმის წინაშე ბერიას წინასწარი ჩვენებები. სავსებით შესაძლებელია ც.კ. პლენუმის წევრთა უმრავლესობა ინფორმირებული იყო ბერიას სიკვდილის შესახებ, გარდა მისი მეგობრებისა და პარტიის აპარატში მომუშავე ხელქვეითებისა.

ამგვარი მოვლენების ფონზე გასაგები ხდება მალენკოვის მიერ ნასროლ რეპლიკაზე ბაგიროვის პასუხით გამოწვეული ხარხარი. ბაგიროვი თავის ბუნდოვან და მჯრთხალ გამოსვლაში მოუთხრობდა დამსწრე საზოგადოებას იმის შესახებ, რომ მას ახლახან ბერიამ დაურეკა და ელაპარაკა იმის შესახებ, რომ სურს შექმნას ახალი რესპუბლიკური ორდენები, რაზეც მალენკოვმა კითხვების კორიანტელში გაახვია მომხსენებელი და გაკვირვებული კითხულობდა: რა ორდენები და ვისთვის? რაზეც დაბნეულმა ბაგიროვმა სულმოუთქმელად უპასუხა: მოდით და თავად მას ჰკითხეთო – რამაც დარბაზში სიცილი გამოიწვია.

ავტორხანოვის აზრით, სტალინის ავადმყოფობის დროს შექმნილი ოთხეული – ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი და ბულგანინის შემადგენლობით, პოლიტიკური გადატრიალების ავტორებად გვევლინება, ხოლო ბერიადის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის შეთქმულების მონაწილეებმა დაასწრეს და მეოთხე მოიშორეს.

მოამზადა ი. გოჩაშვილმა

## გვახსოვდეს აფხაზეთი

# საქართველოში ზედმეტად ქცეული ადამიანების ტკივილი

ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს თბილისში. ომგადახდილი და უსახლკაროდ ქცეული ლტოლვილები თავდაპირველად თბილად მიიღო დედაქალაქმა და უშურველად გაუწია მათ სულიერი თუ მატერიალური დახმარება.

დამეთანხმებით, მაშინ ყველას სჯეროდა, რომ ისინი დროის გარკვეულ მონაკვეთში საკუთარ კერას დაუბრუნდებოდნენ.

ელოდნენ... ელოდა მთელი საქართველო!..

ამგვარ მოლოდინში წლები მიიწურა...

ცხოვრებაც თანდათან მძიმე და გაუსაძლისი გახდა. მეტიც, როცა ყველა ერთიანად არსებობისათვის ბრძოლამ მოიცვა, ადგილობრივი მცხოვრებლებისა და დევნილების ურთიერთობაშიც ბზარი გაჩნდა. თბილისსა და საქართველოს ამა თუ იმ რაიონში თავშეფარებულები მშობლიურ ქვეყანაშივე ზედმეტ ადამიანებად იქცნენ. თუკი „ლტოლვილის" ხსენება ხალხში სევდასა და თანაგრძნობის სურვილს იწვევდა, ამჟამად იოტისოდენადაც ვეღარავის აღუძრავს მსგავს განცდებს და სამწუხაროდ, ერთგვარი ბოღმაც კი დაიბადა იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც დედაქალაქში არსებული სასტუმროები, ბინები და ესა თუ ის საყოფაცხოვრებო ნაგებობები დაიკავეს.

სინამდვილეში დევნილები არც ისე „სასიამოვნო" მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც ეს მავანსა და მავანს წარმოუდგენია. ზემოაღნიშნულის მიღმა უაღრესად გაჭირვებული, სასოწარკვეთილი და დამშეული მოსახლეობა დგას.

ამასწინათ აფხაზეთის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ვიმყოფებოდი. ადაპტაციის, განსახლების და დაბრუნების ხელშემწყობი განყოფილების წინ ათობით დევნილს მოეყარა თავი. ისინი დროებითი საცხოვრებელი ფართის გამოყოფას ითხოვდნენ. აღნიშნული განყოფილების გამგის დათო ხავთასის სამუშაო ოთახში მოკრძალებით შემოვიდა ერთი მხცოვანი ქალბატონი. ხავთასის წინადადებაზე, რამე გამოჩნდება, ერთ კვირაში გამოიარეთო, ქალს ცრემლები მოერია. პასუხად „ვაჲა ჩქიმი ცოდა" ამოიკვნესა და ცივად გაშორდა იქაურობას. ეტყობოდა, რომ არ სჯეროდა მორიგი დაპირების...

ეს დევნილი ქალბატონი არც პირველია და არც უკანასკნელი, ვისაც აქ დღედაღამ უხდება სიარული და მწარედ „ატყუებენ"...

– თითქმის ყოველდღიურად მოდის ცნობა დევნილების მიერ ამა თუ იმ შენობაში შეჭრის შესახებ– აღნიშნა დევნილთა სამმართველოს უფროსმა ზაზა თოდრიამ.

*– რას აკეთებს ამ შემთხვევაში დევნილების სამმართველო. მას შესწევს თუ არა შენობაში შეჭრილებისა და მისი მეპატრონის შორის არსებული უთანხმოების მოგვარებისათვის ძალა?*

– ჩვენი წარმომადგენელი მიდის იმ ობიექტზე, რომელშიც მოხდა შეჭრა. პირველ რიგში უკავშირდება შენობის მეპატრონეს და იმ დევნილებს, რომლებიც იქ შევიდნენ. არკვევს საკითხს. თანახმაა თუ არა მეპატრონე დროებით უმოქმედო შენობაში იცხოვრონ დევნილებმა. შემდეგში საქმეს სასამართლო განიხილავს. სამწუხაროდ, სამინისტროს არა აქვს იმის უფლება, მეპატრონეს დააძალოს თავისი ფართობი ნებაყოფლობით დაუთმოს დევნილებს. ეს საქმე სასამართლოს პრეროგატივაა. ხშირად არ ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების ასრულება და მეპატრონესთან „გარიგების" საფუძველზე დევნილები ჩასახლებას ახერხებენ.

*– გიწყობთ თუ არა დახმარებას დედაქალაქის მერია? მე რამდენადაც ვიცი, სამინისტრო სხვადასხვა უწყებებზეა დამოკიდებული.*



– ქალაქის მერიასთან მიმდინარეობს მუდმივი კონსულტაციები, თათბირები, რომ თბილისის მერიამ დევნილებისათვის გამოყოს რომელიმე არაპრივატიზებული, უმოქმედო შენობა. დახმარება ჯერჯერობით არ გამოჩენილა, სამინისტროს კი არავითარი საცხოვრებელი ფართი თავის ბალანსზე არ გააჩნია.

როგორც ზაზა თოდრიამ აღნიშნა, სამინისტროში მუდმივია დევნილების მიერ განცხადებების შემოტანის პროცესი. მიმდინარე წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშუალო დახმარებითა და მხარდაჭერით სამინისტრომ ასოცი ოჯახი შეასახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაგების სტუდქალაქში. სამინისტროსათვის განსახლების საკითხი აქტუალურ თემად რჩება. არის შესაძლებლობები, რომ ლტოლვილებისთვის საცხოვრებელი ადგილი რეგიონებში გამოიყოს, მაგრამ რატომღაც ყველას თბილისში მოუნდა ცხოვრება. დედაქალაქი კი თავის პრობლემებსაც ძლივს უმკლავდება.

***P.S.*** *სასოწარკვეთილმა დავტოვე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. იქ ჩემი კუთხის მრავალი ღირსებაშელახული მკვიდრთაგანი დავინახე. კოლხი ქალის „ვაჲა ჩქიმი ცოდამ" სულხორციანად შემძრა...*

*მისი უმწეო ამონაკვნესი თითქოს საუკუნის ტკივილად გადაიქცა.*

*დიდი წინაპარი და მისი მღელვარე სულიდან ამოხეთქილი კვნესა მომაგონა.*

*„როდემდის დარჩეს ეს ტკივილი გულში? ოხ, როდემდის?!"*

მარინა ჩიტაია

# სატირისა და იუმორის გვერდი



რუბრიკის მასპინძელია
ნიკოლოზ იოსებიძე

## გიხაროდენ!

გიხაროდენ! – როგორც იქნა,
არჩევნები დამთავრდა,
პარლამენტში „მოქავშირის“
უფლებები გამყარდა.
გიხაროდენ! – „მოქავშირი“
ხალხის გულებს ახარებს,
ადამის და ევას ხმებიც
თავის ყუთში ჩაყარეს.
გიხაროდენ! გიხაროდენ!
უფლის ნება არი ეს,
ირინა ვერ გადაახტა
თავის „დადგმულ ბარიერს“.
გიხაროდენ! – რუსის მიერ
წართმეული მიწები,
მტრადქცეული აფხაზები,
ოსი ძმადნაფიცები.
გიხაროდენ, გიხაროდენ!
თუ მშვიდობა დამყარდა,
რუსის ჯარებს გაიყვანენ,
როგორც ადრე გაჰყავდათ.
გიხაროდენ! – მხარში გვიდგას
ამერიკა, ევროპა,
ფეხებზედაც არ ჰკიდიათ
ჩვენი უმუშევრობა.
გიხაროდენ! – ბომბებს ყრიან
საქართველოს საზღვართან,
რუსი ადრეც მყრალი იყო,
ახლა უფრო ამყრალდა.
გიხაროდენ! – ყოველდღე სვამს
პრეზიდენტი ბორია
და მსოფლიო თვალსაზრისით,
პოლიტიკის მძორია.
გიხაროდენ! – ყველაფერი მამა-
სისხლად გაძვირდა,
არაფერი გაკეთდება,
ვინც კი რამეს დაგვპირდა.
გიხაროდენ! – მეზიზღება
დაბადების თარიღი,
10 ლარი პენსია მაქვს,
კილო პური ლარი ღირს.
გიხაროდენ! – სიხარული
აგრძნობინეთ გულისგულს,
იქურდეთ და იმათხოვრეთ,
გააკეთებთ პურის ფულს.
გიხაროდენ! – კიდევ დიდხანს
ვერ მიიღებთ პენსიას,
ლტოლვილები სიმწრისაგან
ტირიან და კვნესიან.
გიხაროდენ! – უცხოელზე
გაყიდული თელასი,
უშუქობას მივეჩვიეთ
წიგნს ვკითხულობთ ბნელაში.
გიხაროდენ, გიხაროდენ!
კვლავ ვიცხოვრებთ ოცნებით,
ცოტა ხანში, სიხარულით
ყველა დავიხოცებით.

* * *

არჩევანი თქვენ,
არადანიც თქვენ,
სავარძლებიც თქვენ,
ფუფუნებაც თქვენ,
ჩვენ?!

* * *

ჩვენ, არსაქნელი რაც იყო, გვიქნეს,
და მიკვირს ხალხი ამდენს რომ ითმენს,
ვიღაცის მიერ დადგენილ „წესით“,
ვიძინებთ კვნესით, ვიღვიძებთ სტრესით.

* * *

სიღარიბისგან ცხოვრებას ჩამოვრჩით,
არც სამსახური გვაქვს, აღარც მფარველობა,
თუ რამე გვებადა ქირებით გამოგვრჩით,
ეს-არის აშკარა გამომძალველობა!

* * *

საქართველო, მთავრობას, ერთ ადგილზე ჰკიდია
ექიმთან ვერ მივსულვართ, პური ვერ გვიყიდია.
არც წყალი გვაქვს, არც შუქი, მაინც რა სიმშვიდეა
უთოფოდ და უტყვიოდ, წყნარი გენოციდია!

## კი, შეიძლება „უმტყუნოს ბედმა“, სხვის სამსახურში სხვა რომ ჩადგება

არ გაამართლა ლენინის დროშამ,
ყალბი გამოდგა ჩაქუჩ-ნამგალი,
ვეღარ გაუძლო მარქსიზმა დროჟამს,
რადგან იდეა იყო დამპალი.
სისხლის გუბეში ცურავდა გემი,
რომელიც ხალხის ძვლებით აიგო,
ეს მოსაზრება არ არის ჩემი,
რაც მოხდა, უკვე ყველამ გაიგო.
სტალინმა შექმნა მთელი ეპოქა,
მას შემდეგ ბევრი ამლაშ-აფლავებს,
რუსეთს ბრალდება ისიც ეყოფა,
წყევლა-კრულვით რომ დაასაფლავეს.
კი, კი ბატონო, იყო „ჯალათი“,
უამრავს კლავდა, უთვალავს სჯიდა,
ქირურგიც დანით, თეთრი ხალათით,
დამპალ სიმსივნეს ყოველთვის ჭრიდა.
რაღა თქმა უნდა დასჯილთა შორის,
პატიოსანიც მოჰყვა მრავალი,
არსებობს აზრი, დონეზე ჭორის,
„არ ჰქონდა მეტი გამოსავალი“.
რუსისთვის სოსო იყო უფალი,
პატივ-დიდების მიმნიჭებელი,
რუსი, ყოველთვის იყო მურდალი,
სხვისი ამაგის მიმთვისებელი.
ვინ დაუფასა ამაგი პეტრეს,
უდიდეს მხედარს და მტრების რისხვას,
ვერ შეეგუვნენ რუსები ვერც მკვდრებს
და მოჰყვნენ მათი სულების კოცხვას.
არარუსობა არ აპატიეს
თვით ბაგრატიონს, რუსზე მწუხარეს,
ძვლები საფლავში „ვერ დაატიეს“,
ყვავებს და ყორნებს გადაუყარეს.
მე, მაპატიოს მაღალმა ღმერთმა,
მაგრამ, რომ არ ვთქვა, გული გასკდება,
კი, შეიძლება „უმტყუნოს ბედმა“,
სხვის სამსახურში, სხვა რომ ჩადგება!








### ფილარმონიის მსახიობი, ანსამბლ „ბერიკონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ავთო ჭიკლაური ესაუბრა მურმან მერკვილიშვილი

ეს ბოლო წლებია ჩვენი ანსამბლი „ბერიკონი“ რესტორან ბერიკონში უკრავს.

... წესია ასეთი, „ბერიკონმა“ – „ბერიკონში“ უნდა იმღეროს, „იმერეთმა“ ქუთაისში ან ზესტაფონში, „აჭარამ“ ბათუმში და ა.შ.

გამოსვლა გვიან გვიმთავრდება და ანსამბლის წევრების მანქანებით ვრიგდებით ხოლმე სახლებში.

ანსამბლის წევრმა თემურ მაისაშვილმა, რომელიც დიღომში ცხოვრობს, დაიჟინა, თქვენ ვერ დაგიცდით ძმაო, ფეხით წავალ, გზაში მანქანას გავაჩერებო.

როგორ არ ვეხვეწეთ, ვერაფრით გადავათქმევინეთ.

მალევე წამოვეწიეთ, მიდის გამალებით... ღამის 2 საათია.

– ამას ახლა ჭკუა არ უნდა ვასწავლოთ? – თქვა ჩვენმა მესაჭემ.

სასწრაფოდ შევიმუშავეთ „ოპერატიული გეგმა“. გავუსწორდით თუ არა, მანქანა მოწყვეტით დადგა, გადმოვცვივდით ცხვირსახოცებით პირაკრულები (როგორც ამერიკულ „ბოევიკშია“ და ვეცით. ვეცით და შევჩურთეთ მანქანაში – ვაიმეე! ვინ ხართ! – გადაირია კაცი.

– ხმა! – ვუბრძანეთ სამ ხმაში.

– ან მითხარით ვინა ხართ, ან გადავალ მანქანიდან.

გაოცებისგან პირი გავაღე. რა „ნაგლი“ ვინმეა, ვიტაცებთ. ეს გვემუქრება, ან ისე ან ასეო... არ გაგიჟდები კაცი?

– ხმა გაკმინდე! – ვუბრძანეთ ისევ.

– რას მერჩით კაცო, წყლის და შუქის ფული გადახდილი მაქვს, ალიმენტიც (ეს რატომ დაამატა, კაციშვილმა ვერ გაიგო).

ჩვენი მანქანა ზანტად დაიძრა და დაიწყო სიჩქარის აკრეფა.

– შენა, ბიჭო! (კახურად მიმართავს ჩვენი მძღოლი) ახლა მიგიყვანთ ერთ ადგილზე, გაიგე შენა? ჰოოდა, იქ დაგვიწერ წერილსა, რო შენიანებმა 150000 დოლარი მოგვიცუნცულონ, გაიგე, შენა?!

– არ ვიზამ მაგას...

– მითომ რათაო?

– წერა-კითხვა არ ვიცი, საერთოდ სუსტი გონების (გვატყუებს, მამაძაღლი) ბავშვი ვიყავი და სკოლაში არ მიმიყვანეს...

– მაგაი რა უნდა, ჯოო! – 3 საათში იგრეთ წერა-კითხვას გასწავლით, გამოცდებ ჩააბარებ „კენბრინჯში“ (ბრინჯი სპეციალურად ვახსენეთ, ქელეხში იციან).

ვატყობთ, თემურა მართლა ბრინჯივით დაიბნა.

– იცით, რაა! მე ერთი საწყალი ხელოვანი კაცი ვარ, ბამბის მაროჟნივით სლაბი გული მაქვს... ვდრუგ და გამისკდომდეს... მერე??

აქ კი ვეღარ გავუძელით და გულიანად გადავიხარხარეთ. „ნიღბები“ მოვიცილეთ.

– ოხ მე თქვენი! – „დაგვლოცა“ თემურმა და ნელ-ნელა დაიწყო ფერზე მოსვლა.

თქვენ ფიქრობთ, მკითხველო, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად დასრულდა? – ღრმად ცდებით.

სირენების წივილით გამოგვენთო „მიგალნიკიანი“ ოპერატიული საგზაო პოლიციის „ჟიგული“, რომელთაც ეს ამბავი შეუნიშნავთ.

– არ გაჩერდე, – რატომღაც თავისთვის თქვა ჩვენმა „მძღოლმა“ და აქსელერატორი („გაზი“) იატაკს მიასრისა. გაცოფებული ჩვენი მანქანა ასფალტს გაეკრა.

– გაჩერდით, გაჩერდით!!! ჩხავის პოლიციის „ჟიგული“. გამაფრთხილებელი გასროლის ხმაც გაისმა.

სხვა რა გზა გვქონდა? – გავჩერდით.

გადმოგვსვეს მანქანიდან.

– რომელს ვესროლო, უფროსო, ამას თუ იმას? – მეგრელი ჩანდა ზონზროხა მილიციელი.

– ჯერ მაცალე, მსუქანი შევარჩიოთ! – „ბატარეა“ მოგვანათა ოპერჯგუფის უფროსმა. ხმაზე ვიცანი ჩემი კლასელი.

– ვაა, შენ შემოგევლე ბიჭო, – გადამკოცნა, მერე ყველას გადაგვეხვია. გაოცებულმა მილიციელმა იფიქრა, ასეა გეგმით საჭიროო და თვითონაც გადაგვკოცნა.

– ეს ჩემი ძმაა! – წარუდგინა უფროსმა ხელქვეითს ჩემი თავი.

– ვაა, ესაა? – როგორი ჯანმრთელად ბრძანდებით, უფროსის ძმა? – მეკითხება მელაკუდურად.

– შენ რა გითხარი, დამასაყვედურა კლასელმა, რა მაყუთი გამაგდებინე ხელიდან – როცა ხარხარში ავუხსენით ჩვენი „ბოევიკური“ ამბავი.

ორი მანქანა „ბერიკონში“ შებრუნდა და დილამდე იქ უცდიდა პატრონებს...

### ფიროსმანი „უსპიჩკოდ“

... ზუსტად 8 წუთიანი ნომერი იყო.

ფიროსმანის გასახსენებლად ვასრულებდი სიმღერას.

ფიროსმანს ჩვენთვის უკვე ნაცნობი თემურ მაისაშვილი ასახიერებდა.

ვიწყებ სიმღერას. შემოდის თემურ-ფიროსმანი ჩემოდნით და პლანშეტით. დგამს ჩემოდანს. გამართავს პლანშეტს.

ახლა ჩემი სიმღერის ფონზე უნდა ამოიღოს სანთელი და აანთოს, ასანთით – ბუნებრივია, მონტაჟის მიხედვით ყველაფერი წამების სიზუსტით ხდება. მაგრამ კურიოზი ის იყო, რომ გაკრული ასანთის ღერი არ აინთო. სასწრაფოდ (როგორც ასანთიდან ღერის ამოღებისას ხდება) ხელის ცახცახით ამოიღო მეორე... არა... მესამე – არა... არადა სიმღერა მიდის, ვცდილობ როგორმე დრო მოვიგო, მაგრამ ვერაფერს ვახერხებ.

ომის წაგების ვარაუდით, როგორც მთავარსარდალი დატრიალდება, ისე დატრიალდა თემური. არადა მაყურებელს ხომ არ ეტყვის: „ძმაო, „სპიჩკა“ მათხოვე ცოტა ხნით. მეც „გავცობდი“. მაყურებელმა უკვე იგუმანა რაღაც...

იმდენი მოვახერხე თვალისპაჭუნით, რომ ორკესტრმა თავიდან დაიწყო, ეს თემურა შავ დღეშია (მაინც სად ჯანდაბაში იშოვა ეს დასირისტებული ასანთი).

ისიც „მოეტვინა“ მდგომარეობას (გაჭირვება რაა?!) და „ზაჟიგალკა“ დააძრო.

„ზაჟიგალკიანი“ ფიროსმანი არაა ადვილი აღსაქმელი, მაგრამ მიზანი ამართლებს საშუალებას.

– გადავრჩით – გადავუჩურჩულე ბიჭებს და სიმღერა უფრო რიხიანად გავაგრძელე.

თურმე ღმერთი ახალ განსაცდელს გვიმზადებს.

ჩამოკრა ხელი... არ ინთება სანთებელა.

მეორეზე ჩამოკვრაზე აბრიალდა.

ეს კი აბრიალდა და მიუმარჯვა სანთელს, მაგრამ ახლა სანთელი გაჯიუტდა... არაფრით არ ეკიდება, მიიწვა თითები თემურმა... არ ეკიდება... გაგიჟდა კაცი...

ამასობაში (აბა სულ ხომ არ იქნებოდა) სიმღერაც დამთავრდა. მაშინ ვის ეცალა და კონცერტის შემდეგ დავიწყეთ გამოძიება. ვხედავთ, სანთელი სულ ახალია. რა მიზეზი იყო?

ვიღაც „მაკვარანცხს“ (ახლაც არ ვიცით, ვინ გაბედა ეს ბოროტი „შავი იუმორი“) სანთლიდან ძაფი ამოუძვრია.

... „დიდი“, გრანდიოზული დაგინების საფუძველზე ასეთი „მასხრობა“ ალარავის გაუბედია...

### რატომ, ღმერთო?!

პენზაში ვართ გასტროლებზე. მაშინ „წიწაკა“ (ავთო შარაშენიძე) ჩვენთან უკრავდა, ახლა – „ივერიაშია“.

სასტიკად აკრძალულია ადმინისტრაციისგან გოგოების სასტუმროში შეყვანა. არადა, ჩვენს კავკასიელ ბიჭებს ასეთი რამეების არ ეშინიათ.

ამოიყვანა ამ „წიწაკამ“ ორი გოგო (ახლაც მიკვირს, მორიგეს როგორ გამოაპარა).

ერთი გოგო, კლავა - იმხელაა, „ამერიკის ხმას“ უანტენოდ იჭერს. მეორე ისეა დაქვასულ-დალეული, გაზეთში რომ შეახვიო, მატარებელში იმის ბილეთს არავინ მოგთხოვს.

მოკლედ, ამოიყვანა. გაიშალა სუფრა.

ეს გოგოები დაინაწილეს, მე დავრჩი ხახამშრალი. არადა, რა გასაჭირია? გადი გარეთ და ვედრო ათი შაურია, მაგრამ ადგილზე მოყვანილი ყველა ზარმაცი კაცის ნეტარებაა.

ამ სიტუაციაში ვართ და რეკავს ტელეფონი ნომერში.

– უვას ვნომერე ბაბი, ნემედლენნო ვივადიტე, ატო მილიციუ საავმუ! – ისმის ყურმილში მორიგე ადმინისტრატორის გაბოროტებული ხმა.

გვეცა პირკატა. არადა გადაწყვეტილია, „დუშკები“ ამაღამ უნდა დარჩნენ.

გამოვართვით „პლაშჩები“ ამ გოგოებს მე და წიწაკამ. ჩავიცვით... მოვიჭუჭნეთ „შარფები“ და მაღალქუსლებზე (შარვალი ყველა ქალს აცვია პენზაში) ჩავკვანჭალდით კიბეებზე, ახლოს გავუარეთ მორიგეს, რომ დაგვინახონ, თან ორი ჩვენი ანსამბლელი „კავალერი“ გვაცილებს. ის კლავა და ტანიჩკა კი დავტოვეთ ნომერში.

ადმინისტრატორს ჩვენი „კავალრები“ მიელაქუცნენ, „ხომ ხედავ, მიდიანო“.

ამ დაძაბულობაში გადამიბრუნდა ეს მაღალქუსლიანი ტუფლი და პირდაპირ გაპრიალებულ ვესტიბიულში ავიღე პასადკა. „პასადკას“ გააჩნია, სამი-ოთხი მეტრი, შატალოზე სასრიალოდ გასულ-ლი მესამეკლასელივით გავსრიალდი. როგორც იქნა, ინამუსეს და გამათრიეს გარეთ.

– ოხ, რა ტკბილი ხარ, თავისუფლებავ – ამოვიძახე ბიძია-ბაბუასავით და გული წამივიდა.

მომხადეს თავსაბური, გამხადეს ის დასაწვავი კლავას „პლაშჩი“ და „ბუქსირზე გამობმული“ ძეგლივით გაშეშებული ამახლაფორთეს ნომერში.

რას არ იზამ კაცი მეგობრის გულისთვის? ფეხი ვიღრძე (რაიმე სარგებელი მაინც ყოფილიყო) და მთელი ოთხი კონცერტი ქოთანში ჩარგული ალოესავით ვიდექი სცენაზე გარუმბული ფეხით.

### მისამართი შეგეშალა

ნიჟნი ტაგილში ვიყავით იმ წელს.

ნიჟნი ტაგილი (ურალი) კარგი ქალაქია და პუბლიკაც შესაბამისად შესაფერისი ჰყავთ.

ჩვენს ანსამბლში დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდა ჩვენი გია კვაშილავა, ჩემი კურსელი და კარგი მეგობარი.

ამ სხარტ მეგრელს, რომელსაც „ვეჩნი ულიბკა“ შევარქვით, კრინი ჰქონდა (აქვს) ისეთი, რომ იტყვიან „ნემსის ყუნწში“ აძვრენდა.

სცენის გამნათებელი გვყავდა, კახელი, კოლია შალიბაშვილი. რა მოგვასვენებს? რაღაც ხომ „ვიუბედუროთ?“

„შევაყენეთ“ კვაშილავა (წვრილი ხმა რომ ჰქონდა იმიტომ). კოლია, ჯმუხი, შავი სქელწარბა და ლიპიანი, ტიპიური კახელი გახლდათ.

ეს ცნობისთვის, თორემ გარეგნული ეფექტისათვის ვერაფერს ხელშესახებ საქმისთვის აუცილებელს ვერაფერს წარმოადგენდა.

ახლა, ამბავი.

დავარეკინეთ გია კვაშალავას მის ნომერში.

გიამ ხმა დაიქალა.

– კოლია, კავკაზეც? (მეორე აპარატით ვუსმენთ).

–და... და... დაჭრილი დათვივით ღრიალებს კოლია.

– ია, ხაჩუ სკაზაც... ჩტო ვი მენია სსუმა სხოდიწე, ნო ვაში ნა წელო ვოლოსი ნე ნრავ (თმა რომ გაქვს ტანზე, ის არ მომწონსო).

– უ მენია ბრიტვა იესტ! – ისმის პასუხი.

– ტაგდა პაბრეისა ი ჟდუ ვნომერე 255 ვეჩერომ. სდეტ პატუშუ.

– იდუ, იდუ...

გია 255 ნომერში გადავიდა და „პროსტინაში“ (ზეწარი) გაეხვია.

დათქმულ დროს მობობლავს სასწრაფოდ „გალვლეპილი“ კოლია. გაალო კარები.

„ქალი ზეწარშია“. ხვნეშით უახლოვდება და უცერემონიოდ შეუგორდა კვაშილავას ლოგინში.

– ვააი! მიშველეთ! – იკივლა გიამ.

აღგზნებული გამნათებელი ძლივს მოვაშორეთ გია კვაშილავას, თუ არა კლავდა.

მურმან მერკვილაშვილი

# კვირის ტელეპროგრამა

## 24 ნოემბერი — 28 ნოემბერი

ოთხშაბათი — 24 ნოემბერი

**I არხი**

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.18 ტელემაღაზია 9.30, 23.20 „ვიდეოპატრული-02“ 9.45 მხ.ფ. „ცოფიანი ძაღლი და გლორი“ 11.40 მოსკოვი – თბილისი 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.13 დიდების ზღაპარი 12.38, 19.50 მაესტრო 12.45 რეტროპერსპექტივა 13.25, 15.15 მხ.ფ. „სიცრუე“ 16.45 გლობუსი 17.15 „ი. აბაშიძე – 90“ 18.15 50X50 18.45 სერიალი „დალასი“ 19.35 ბასტი-ბუბუ 20.50 რა ხდება?! 21.35 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 საქმე 23.35 გრიფით საიდუმლო 0.15 კომუნიკატორი 0.47 მხ.ფ. „ამბოხება ბაუნტზე“

**I არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 19.45 მეომარი 20.05 რაგბის მოყვარულთათვის 21.00 „ანტონელა“ 21.50 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები 22.15 პოდიუმი 22.30 მხ.ფ. „განძი“ 0.10 ჰიტ-პარადი

**რუსთავი 2**

7.00 მუსიკა 7.30 „ტული“ 7.35 „ფიფქია“ 8.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 3.00 კურიერი 8.55 „სასწრაფო“ 9.40 „ნანო“ 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები“ 10.50, 19.30 „დაკარგული ქალაქი“ 11.20, 20.05 გვადალუპე 12.15 მხ.ფ. 14.05 „ტაგერტი“ 19.00 აკუნა მატატა 21.50 „ნიკიტა“ 23.40 ჩემპიონთა ლიგა: „ოლიმპიკი“ – „ლაციო“ 1.40 სიმფსონები 2.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 3.10 კლასიკა

**კავკასია**

15.00, 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 15.15 მხ.ფ. „იოლი ფული“ 16735, 17.15 მულტ.ფ. 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 21.45 მხ.ფ. „მაგარაჯის ქალიშვილი-1“ 0.15 მუს. კალ.

**ევრიკა**

11.00, 18.00, 22.00 სტუდია-25 11.30, 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 პროგრამა სალონი 13.30, 20.00 „მთიელი“ 14.15 მხ.ფ. „საქმე პელიკანების შესახებ“ 18.15 მუს.კოლაჟი 19.00ტ ხვალ 21.00 დოკ.ფ. 22.25 მხ.ფ. „ჭირვეულის მორჯულება“

**ისტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „სიხარულის ტანჯვა“ 12.45 კლიპ-მიქსი 18.00 მულტ.ფ. 19.00 მხ.ფ. „ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვიტიროთ“ 20.45 მხ.ფ. „გადამწყვეტი რაუნდი“ 22.10 მხ.ფ. „ბუნების ძალა“ 0.05 მხმ.ფ. ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 22.00, 0.20 ექო 10.15, 16.45 მულტ.ფ. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ-პროგრამა 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ.ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.3- მსოფლიოს სტადიონებზე

**იბერია**

9.00, 19.00, 22.00, 0.30 ახალი ამბები 9.10, 20.35 ბურთი და მოედანი 9.25, 19.20 „ქალაქი“ 9.55 ძველი ჰანგები 10.00, 21.15 „ყველა ჩემი შვილი“ 10.45, 1.55 ოვაცია 10.55, 19.45 სტუდია დიალოგი 11.30 გვარიშვილობა 11.45, 21.05 სახეები 12.05 მხ.ფ. „მხოლოდ ერთი ბილეთი“ 13.55, 15.40, 17.25, 20.35 მუს.ტალღა 14.00, 18.30 დოკ.ფ. 14.30 „მარადიული ძახილი“ 15.45 ნახ.ფ. 16.00 მხ.ფ. „მაგარი პოლიციელი“ 20.40 მხ.ფ. „სამი ამბავი ტელეფონით“ 22.35 მხ.ფ. „ვირთხების ხროვა“ 0.40 ნოსტალგია 0.45 მხ.ფ. „ღრმა ლურჯი ზღვა“.

ხუთშაბათი — 25 ნოემბერი

**I არხი**

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.18 ტელემაღაზია 9.30, 23.20 ვიდეოპატრული-02 9.45, 12.10 მხ.ფ. „ამბოხება ბაუნტზე“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 14.00 ვიზიტი 14.20, 19.50 მაესტრო 14.28 ტელე-სინე-ვიდეო 15.15 გრიფით საიდუმლო 15.35 ნავიგატორი 15.55 მხ.ფ. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ 17.25 კონცერტი 17.40 მესაკუთრე 18.15 ხალხური შემოქმედება 18.40 რამპა 18.45 „დალასი“ 19.35 ბასტი-ბუბუ 20.45 რაგბი. მსოფლიო თასის ფინალი 21.36 კავკასიური სამკუთხედი 22.00 ვესტნიკი 22.25 მრავალსახეობა 23.00 ეკოდაიჯესტი 23.35 ვიზიტის შემდეგ 0.15 კომუნიკატორი 0.50 მხ.ფ. „სამი დღე სექტემბერში“

**I არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტ.ფ. 20.00 დიზაინი 21.00 „ანტონელა“ 22.00 შვიდეული 22.30 მხ.ფ. „მოდური რაზმი“ 23.55 ჰიტ-პარადი

**რუსთავი 2**

7.00 მუსიკა 7.30 „ტული“ 7.35 „ფიფქია“ 8.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.40 კურიერი 8.55, 21.50 „ნიკიტა“ 8.40 „ნანო“ 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები“ 10.50, 19.30 „დაკარგული ქალაქი“ 11.20, 20.05 „გვადალუპე“ 12.15 მხ.ფ. 14.05 „ტაგერტი“ 19.00 აკუნა მატატა 23.50 მხ.ფ. „წყლის სამყარო“ 1.50 კლასიკა

**კავკასია**

15.00, 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 15.05 მხ.ფ. „ტანგო და კეი“ 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 21.45 მხ.ფ. „მაგარაჯის ქალიშვილი“-2 0.15 მუს.კალ.

**ევრიკა**

11.00, 18.00, 22.00 სტუდია-25 11.30, 18730 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 19.30 „მთიელი“ 14.15 მხ.ფ. „ჭირვეულის მორჯულება“ 18.15 მუს.კოლაჟი 19.00 პასი 20.30 საუბრები მწვანე ბუხართან 22.25 მხ.ფ. –ქალი წითელში“

**ისტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ბუნების ძალა“ 12.25 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ.ფ. 19.00 მხ.ფ. „ზევსი და როქსანა“ 20.35 მხ.ფ. „წყალქვეშა დიდება“ 22.15 მხ.ფ. „საუკეთესო მსროლელი“ 0.05 მხ.ფ. ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო 10.15, 17.15 მულტ.ფ. 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ.პროგრამა 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა 19.3- მსოფლიოს სტადიონებზე

**იბერია**

9.00, 19.00, 22.00, 0.25 ახალი ამბები 9.10, 20.20 ბურთი და მოედანი 9.25, 19.20 „ქალაქი“ 9.50, 20.35 ძველი ჰანგები 9.55, 21.15 „ყველა ჩემი შვილი“ 10.40, 2.20 ოვაცია 10.45, 19.45 სტუდია დიალოგი 11.25 მოკ.მხ.ფ. „ჩემი ამბავი ტელეფონით“ 12.05 მხ.ფ. „ვირთხების ხროვა“ 13.45, 15.25, 17.25 მუს.ტალღა 13.50, 18.25 დოკ.ფ. 14.20 „მარადიული ძახილი“ 15.30 ნახ.ფ. 15.45 მხ.ფ. „ზორო“ 22.35 მხ.ფ. „გენერლის ქალიშვილი“ 0.35 ნოსტალგია 0.40 მხ.ფ. „ფაკულტეტი“

პარასკევი — 26 ნოემბერი

**I არხი**

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.18 ტელემაღაზია 9.30, 23.20 ვიდეოპატრული-02 9.45, 12.15 მხ.ფ. „რებეკა“ 11.20, 19.50 მაესტრო 11.28 მრავალსახეობა 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 13.43 კავკასიური სამკუთხედი 14.03 რაგბი. 15.15 ეკოდაიჯესტი 15.35 წონასწორობა 15.50 მხ.ფ. „სიჩქარე-2“ 17.45 უსაფრთხოება 18.15 50X50 18.45 „დალასი“ 19.35 ბასტი-ბუბუ 20.50 რა ხდება?! 21.35 არტ-ექსპრესი 22.00 ვესტნიკი 22.20 რომის პაპის ვიზიტი საქართველოში 23.00 „თბილისის დროით“ 23.35 დვრიტა-ტვ 0.15 საღამო მშვიდობისა 1.02 მხ.ფ. „ეშმაკისეული“

**I არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტ.ფ. 20.00 სუპერ-მატჩი 21.00 „ანტონელა“ 21.50 აფხაზეთის ტელევიზია 22.30 ანტრე 23.00 მხ.ფ. „მზის ჩასვლა“ 0.40 ჰიტ-პარადი

**რუსთავი 2**

7.00 მუსიკა 7.30 „ტული“ 7.35 „ფიფქია“ 8.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 2.05 კურიერი 9.55 მხ.ფ. „ნიკიტა“ 9.40 „ნანო“ 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები“ 10.50, 19.30 „დაკარგული ქალაქი“ 11.20, 20.05 „გვადალუპე“ 12.15 მხ.ფ. 15.04 „ტაგერტი“ 19.00 აკუნა მატატა 21.50 „საიდუმლო მასალები“ 23.50 მხ.ფ. „ხელი, რომელიც აკვანს არწევს“ 1.55 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები“ 2.15 კლასიკა

**კავკასია**

15.00, 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 15.05 მხ.ფ. „ბოუფინგერი“ 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19,00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ექსტრასენსი“ 23.30 პოლიტ. პროგრამა „რატომ? უაი?“ 0.15 მუს.კალ.

**ევრიკა**

11.00, 18.00, 22.00 სტუდია-25 11.30, 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 20.00 „მთიელი“ 14.15 მხ.ფ. „ქალი წითელში“ 18.15, 20.45 მუს. კოლაჟი 19.00 ხვალ 21.00 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 მხ.ფ. „ვივა მარია“.

**ისტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „საუკეთესო მსროლელი“ 12.20 კლიპ-მიქსი 18.00 მულტ.ფ. 19.00 მხ.ფ. „რიგითი ბენჯამენი“ 20.45 მხ.ფ. „ღამის ცეცხლი“ 22.35 მხ.ფ. „ჯერი მაგუაიერი“ 0.55 მხ.ფ. ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 10.15, 17.00 მულტ.ფ. 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 15.00 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**იბერია**

9.00, 19.00, 22.00, 0.25 ახალი ამბები 9.10, 20.20 ბურთი და მოედანი 9.25, 19.20 „ქალაქი“ 9.50, 11.25 ძველი ჰანგები 9.55, 21.15 „ყველა ჩემი შვილი“ 10.40, 2.50 ოვაცია 10.45, 19.45 სტუდია დიალოგი 12.00 მხ.ფ. „გენერლის ქალიშვილი“ 13.50, 14.25, 15.55, 17.30, 20.35 მუს.ტალღა 13.55, 18.30 დოკ.ფ. 14.30 „მარადიული ძახილი“ 16.00 მხ.ფ. „როგორ გავყვე მილიონერს“ 18.10 მულ.ფ. 20.40 ფარული კამერა 21.00 გვარიშვილობა 22.35 მხ.ფ. „ულისეს მზერა“ 0.35 ნოსტალგია 0.40 მხ.ფ. „ინსპექტორი გაჯეთი“.

შაბათი — 27 ნოემბერი

**I არხი**

10.00 დილის პაემანი 11.30 თბილისის დროით 11.50, 15.50, 17.50 უ-თუ-ოდ 12.00 მხ.ფ. „უდანაშაულო დამნაშავე“ 13.17 ზღაპარი პატარებისათვის 13.30 კლუბი-700 14.00 კვალი 14.20 მუსიკა ეთერში 14.40 მღერის გ. ანდღულაძე 15.00 ვესტნიკი 15.15 რეიტინგი 15.30 ახალი ქართ. პროექტი 15.55 დოკ.პროგრამა 16.20 საქართველო და გარე სამყარო 16.35 ეძიე ქალი 16.55 რეგიონები 17.15 აბლა-ბუდა 17.30 ირაო 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 18.20 კონცერტი 19.00 სტადიონი 19.15 საოჯახო ლოტო 19.41 ბასტი-ბუბუ 20.45 მაესტრო 21.46 მჯერა! 22.20 „ილუზიონი“ მხ.ფ. „სრულიად საიდუმლოდ“ 0.15 ტერმინალი-72 0.37 მხ.ფ. „ბოლერო“.

**I არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 ჩიპო 19745 ოაზისი 20.00 ავტოსპორტი 21.00 ჯაზ-სპირიტი 21.25 ექსტრა 21.40 ვარსკვლავები გვამცნობენ... 21.55 მხ.ფ. „უმანკოების ეპოქა“ 0.05 ჰიტ-პარადი

**რუსთავი 2**

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 21.00, 0.40 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 საბ. ფ. 11.15 სიმფსონები 11.45, 18.15 ლუისი და კლარკი 12.30, 20.05 „სიყვარულის ერთგულება“ 13.20 მხ.ფ. 19.10 ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო მიმოხილვა 21.50 ფსიქო – მხ.ფ. „ბალღები“ 0.50 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები“ 1.30 ღამის ჯაზი

**კავკასია**

12.00 მხ.ფ. „დიუმოვოჩკა“ 13.20 მხ.ფ. „ჯუმანჯი“ 15.00 მხ.ფ. „სასიკვდილო იარაღი“ 17.00, 20.30, 0.00 დღეს 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00 მუსიკა 18.10 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 21.00 ვარსკვლავები 21.45 მხ.ფ. „მკაცრი თამაშები“ 23.15 ჯაზ-პარნასი 0.15 მუს.კალ.

**ევრიკა**

11.00, 18.00, 22.00 სტუდია-25 11.30, 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 მხ.ფ. „101 დალმატინელი“ 13.40, 20.50, 23.15 მუსიკა 14.00 ერალაში 14.30 დოკ.ფ. 15.00 თქვენი ადვოკატი 16.00 მხ.ფ. „სფერო“ 18.05 სცენის ოსტატები 18.30 სტილი 19.00 მხ.ფ. „რკინის მაგნოლიები“ 21.00 ინდ. მხ.ფ. „სიყვარულის მსხვერპლი“ 23.20 მხ.ფ. „200 სიგარეტი“.

**ისტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ჯერი მაგუაიერი“ 12.50, 18.00 მულტ.ფ. 14.10 მხ.ფ. „ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველი“ 15.30 კლიპ-მიქსი 19.00 მხ.ფ. „სიყვარული და სიკვდილი ლონგაილენდში“ 20.35, 22.10 მხ.ფ. „ჟანა დარკი“ 23.45 მხ.ფ. „ლეონი“ 1.55 ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო 10.15, 18.00 მულტ.ფ. 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუს.კოლაჟი 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**იბერია**

9.00, 19.00, 22.00, 0.15 ახალი ამბები 9.10, 20.25 ბურთი და მოედანი 9.25 „ქალაქი“ 9.50, 20.35 ძველი ჰანგები 9.55 „ყველა ჩემი შვილი“ 10.40, 2.00 ოვაცია 10.50, 19.45 სტუდია დიალოგი 11.25 ცხოველთა სამყარო 11.35 მხ.ფ. „ულისეს მზერა“ 14.30, 18.25, 21.25 დოკ.ფ. 14.55, 16.30, 17.25, 19.20 მუს. ტალღა 15.00 მხ.ფ. „თოჯინები იცინიან“ 16.35 ნახ.ფ. 16.55 მხ.ფ. „ფრთხილად კარები იკეტება“ 21.10 სახეები 22.35 მხ.ფ. „ველური, ველური დასავლეთი“ 0.25 ნოსტალგია 0.30 მხ.ფ. „რვა თავი ერთ ჩანთაში“

კვირა — 28 ნოემბერი

**I არხი**

10.00 დილის პაემანი 11.30 საკვირაო გამოფენა 11.40 ნამდვილი ამბები 11.50, 16.53, 17.50 უ-თუ-ოდ 12.00 მხ.ფ. „ველური კატა“ 13.30 მჯერა 14.00 გვაქვს უთვალავი ფერითა 14.20 უჩარჩოოდ 14.40 ფან-კლუბი 15.00 ვესტნიკი 15.15 მულტსერიალი 15.38 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 15.48 ახალი ქართული პროექტი 16.08 დოკ.პროგრამა 16.38 ენერგია 16.58 მსოფლიოს ახალი ამბები 17.10 რეგიონები 17.30 სპა 18.00, 0.00 მოამბე 18.10 ლატარია ყველასათვის 18.30 შოკოლადის მიკროფონი 18.50 ტოტო-ლოტო 19.05 ინტერპანორამა 19.25 ჩვენი მისამართია 20.00 ტაიმ-აუტი 20.52 აზრი 21.02 საკვირაო ზღაპარი 21.12 ფორტუნა 21.55 დრიბლინგი 22.40 დიდების ზღაპარი 23.00 „მოცარტი და“ 0.15 ჯემი 0.47 მხ.ფ. „ყველაფერი ამის შესახებ“

**I არხი**

19.00 კვირადღე: მულტფილმი, სუპერ-მატჩი, კერპები, სტუმარი, ბომონდი, კინოსეანსი – თქვენი თხოვნით „ჩურჩული და ყვირილი“, „წითელი ვიოლინო“. ღამის ქალაქი და ჰიტ-პარადი

**რუსთავი 2**

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 23.55 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 ფილმი.ბ. 11.15, 0.25 სიმფსონები 11.45, 19.10 ლუისი და კლარკი 12.30, 20.05 „სიყვარულის ერთგულება“ 13.20 მხ.ფ. 18.15 აკუნა მატატა 19.40 სპორტული პროგრამა 21.00 კვირა 21.00 მხ.ფ. „ჩვენ ანგელოზები არ ვართ“ 0.05 კლასიკა

**კავკასია**

12.00 ინდ. მხ,.ფ. „მოთამაშეთა მეფე“ 14.50 „დემფსი და მეიკფსი“ 16.30 დებიუტი-99 17.00 მულტ.ფ. 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00, 21.45 მუსიკა 18.10 ფეხბურთის ლეგენდები 19.00 მხ.ფ. „ორში ერთი“ 20.30, 0.00 დღეს 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ფრანგი ლეიტენანტის ქალი“ 0.15 ჯაზ-პარნასი

**ევრიკა**

11.00, 15.00 ცისკრის ზარები 11.03 ქართ.მულტ.ფ. 11.30 დოკ.ფ. 12.00, 18.00 ლოცვა 12.03 ქართ. მხ.ფ. „ზღვის ბილიკი“ 13.30 მხ.ფ. „ბზიანეთი“ 13.50 „დათა თუთაშხია“ 15.00-16.00 რელიგიის საათები 18.03 საუბრები საქართველოზე 16.00 მხ.ფ. „არსენას ლექსი“ 19.00 სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია II ქადაგება 19.15 საეკლესიო კალენდარი. საუბრები ბიბლიაზე 20.30 იქ, სადაც სიყვარულია 21.03 თბილისური ოჯახები 21.30 იუმორისტული გადაცემა 22.00 მხ.ფ. „წყარო ზღვის პირას“ 22.30 მხ.ფ. „ჯარისკაცის მამა“.

**ისტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „სიყვარული და სიკვდილი ლონგ-აილენდში“ 12.20, 18.00 მულტ.ფ. 13.25 მხ.ფ. „ციხეში მინდა“ 15.00 კლიპ-მიქსი 19.00 მხ.ფ. „პატივსაცემი ჯენტლმენი“ 20.50 მხ.ფ. „გატეხილი ისარი“ 22.40 მხ.ფ. „ეჭვმიტანილი“ 0.20 ეროტიკა. ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00 ექო 10.15, 18.00 მულტ.ფ. 11.00, 18.45 ქართ. მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა 22.15 ფარდის გახსნამდე... 1.00 ტელეფილმი

**იბერია**

9.00, 22.00, 0.15 ახალი ამბები 9.10 ბურთი და მოედანი 9.20, 12.30, 13.55, 16.35, 16.00 ძველი ჰანგები 9.25, 18.45 დოკ.სერიალი 10.00, 2.20 ოვაცია 10.10 მხ.ფ. „ცირკის პრინცესა“ 12.35 მხ.ფ. „ბუნების ძალები“ 14.10 ნახ.ფ. 11.50 მოკლ. მხ.ფ. 11.05 სტუდია დიალოგი 14.30 მხ.ფ. „ერთი ნახვით“ 16.40 საბ.ფ. 19.15 მუს.ტალღა 20.15 იუმორისტული სერიალი 21.30 თეატრალური ორშაბათი 22.35 მხ.ფ. „მეექვსე გრძნობა“ 0.25 ნოსტალგია 0.30 მხ.ფ. „თომას კრაუნის საქმე“.

# როდესაც ყველაფერს შავ ფერში ხედავთ

ხანდახან, როგორც იტყვიან, მარცხენა ფეხზე ვდგებით, გარშემო ყველაფერი ნაცრისფერ ბურუსშია ჩაძირული, საუზმე გემოს კარგავს, დაგეგმილი ვიზიტი – ინტერესს. რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ?

1. მიეცით თავს სევდის უფლება

ჯანსაღი სევდა საკუთარ გულღვიძლის გამოხრას არ ნიშნავს. ჩართეთ ლირიკული მუსიკა და ცრემლის ნიაღვარი სევდას უკვალოდ ჩამორეცხავს და თქვენი სული, სინათლისკენ აიჭრება!..



2. ნუ იქნებით მსხვერპლი

ჩვენი პრობლემები, როგორც წესი, სამსახურთან ან სახლთანაა დაკავშირებული. გაერკვიეთ, რომელია აქედან ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი: უფროსთან ურთიერთობის გარკვევა, თუ ქმართან შერიგება; შემდეგ იმოქმედეთ! აზრების წესრიგში მოსაყვანად დილით ცოტა ადრე ადექით და ყავა მიირთვით. ან შესვენების დროს გაისეირნეთ (მხოლოდ მაღაზიებში ხეტიალს ნუ დაიწყებთ).

3. დაპატიჟეთ სტუმრები

თუ გგონიათ, რომ ცუდი განწყობისას უნდა გამოიკეტოთ, დიდად შემცდარი ბრძანდებით. დაპატიჟეთ მეგობრები. ფაცი-ფუცსა და სამზადისში ყველაფერი დაგავიწყდებათ.

4. ოჰ, ეს ჰორმონები!

უეცრად ჭურჭლის ლეწვა და ტაფების სროლა მოგინდათ! კალენდარს შეხედეთ – იქნებ კრიტიკული პერიოდი ახლოვდება? სასიამოვნოა, როდესაც აღმოაჩენ, ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჰორმონების ახირება ყოფილა.

5. საქმე გამონახეთ

მაგალითად, უჯრების მოწესრიგება. მაგრამ უსიამო საქმე უმჯობესია შემდეგისთვის გადადოთ.

6. „პროტესტის ნიშნად“ რაიმე ჩაიდინეთ!

მაგალითად, იცელქეთ: მურაბაში თითი ამოუსვით, ფეხსაცმლით აძვერით სავარძელზე და ა.შ. გარწმუნებთ, გამოცოცხლდებით!

7. ოფლი მოიღვარეთ!

ფიზკულტურა დეპრესიის პირველი წამალია. აერობიკაში ჩაიძირეთ და რიტმის გარდა ყველაფერი დაგავიწყდებათ.

8. გაინებივრეთ თავი!

წადით სალონში, გაიკეთეთ მანიკიური, მასაჟი; თქვენ იმსახურებთ, რომ თავს გევლებოდნენ!

9. შეხედეთ ყველაფერს სხვა კუთხიდან!

ტანში გტეხავთ, თავი გტკივათ, ცხვირით ველარ სუნთქავთ... დიდი ამბავი! სამაგიეროდ, შეიძლება ტახტზე წამოგორება და წიგნის კითხვა, ან ტელევიზორის ყურება, ბოლოს და ბოლოს, ნანატრი გამოძინება. ყველაფერს მეორე მხარეც აქვს.

10. იცეკვეთ

ჩართეთ თქვენი ყველაზე საყვარელი მელოდია. მარტო ხართ? მით უკეთესი, თავს უფრო თავისუფლად იგრძნობთ!

11. გაიღიმეთ!

დიახ! გაუღიმეთ ყველას – გამყიდველს, თანამგზავრს, ვერც შეამჩნევთ გუნება ისე გაგიუმჯობესდებათ.

12. აისრულეთ ოცნება

იყიდეთ ბიჟუტერიის ნაკრები, ან საგზური, მაგალითად, საბერძნეთში. სასიამოვნო შენაძენი სევდას სწრაფად გაგიქარვებთ.

13. თავი შეიქეთ!

რატომაც არა! უთხარით საკუთარ თავს - აი, მე კარგი სპეციალისტი და დიასახლისი ვარ, არც გარეგნობა მაქვს ურიგო, რაღა მანაღვლებს?!

## „გიხაროდენ, გიხაროდენ — საქართველოს გადარჩენა!..“

*ვარიაცია, კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის სიმღერის თემაზე – „გიხაროდენ“*

„არჩევნები დასრულდა,
გავიმარჯვეთ, „ხაბარდა“
ჩინოსანი გასუქდა
შუქი წარსულს ჩაბარდა!“
ბ.თ.

თქვენი მხარის დასაჭერად,
ბულბულები რომ გალობდნენ,
„საქართველოს გადარჩენა,“
მოქკავშირი გიხაროდენ!
ოპოზიცია „მოტეხეთ“
თქვენს „დამხობას“ რომ ლამობდნენ
უმრავლესობა მოხვედით
მოქკავშირო – გიხაროდენ!
უხელფასოდ, უშუქ-გაზოდ,
მშრომელები რომ დარდობდნენ
უარესი დრო დაგვიდგა.
მოქკავშირო – გიხაროდენ!
ლტოლვილები აფხაზეთში
დაბრუნებას რომ ნატრობდნენ
კიდევ ოთხი წელიწადი
ელოდონ და... გიხაროდენ!
ავტობუსებ – „მარშრუტკები“
აღმა-დაღმა რომ დაქროდნენ
გაუძვირდათ საწვავი და...
მოქკავშირო გიხაროდენ!
გაყინული სკოლებიდან,
პატარები რომ გარბოდნენ
არაფერი არ შეცვლილა
მოქკავშირო გიხაროდენ!
არჩევნებში ვინც ხმა მოგცათ
დაპირებით რომ ხარობდნენ
თქვენი თავი მშვიდობაში
მოახმარონ, – გიხაროდენ!
P.S.
აი, თქვენი შედეგები,
აი, ჩვენი „აღმაფრენა“;
„გიხაროდენ, გიხაროდენ
საქართველოს გადარჩენა!“

ბიჭი თუშიშვილი

# კაიფვორდი



მდგომიარედ: 1. იტალიელი მომღერალი, რომელიც „მოსახვევებში პირდაფჩენილი“ იჭაჭება; 2. ნახევრად მდინარე „პოთი სავსე“ სახელმწიფო ევროპაში (რუს.ნაწ.კავშ.); 3. რეკორდების კოლექციონერი; 4. კაცი, რომელიც სომხურად „კარგად“ იხდის მიწის „რენტას“ (სახელი); 5. „სპილოს“ ამწე კბილი; 6. გაუგებრობა, რომელიც ხშირად საზღვარზე ხდება; 7. ფანტაზიური „ცნება“; 8. ხმა, რომელსაც „კრინი“ აქვს მიღებული; 13. ქალი, რომელსაც „მზეზე იები“ მოჰყავს (სახელი); 14. წამლებიდან „კოქტეილების“ დამზადების ოსტატი აფთიაქარი; 17. დოკუმენტურად გაფორმებული სექსუალური კავშირი; 18. გაღმა-გამოღმელთა ჩამომდინარე სადემარკაციო წყლის ნაკადი; 19. „წამებში“ მერხევი ტანმაღალი მცენარე; 20. ბორბლებიანი კიბე, რომელიც წყალსაც ატარებს; 21. „სამოთხეშიც“ ცნობილი იუმორისტი რუსი „ჩაპლინი“ (რუს. ნაწ. კავშ.); 22. მარგარინ „ონაზე“ წაზრდილი ბერძენი მულტიმილიონერი („სისის“ ძმაკაცი); 23. ის, რასაც ზოგიერთი ცელქი ბავშვი მშობლებს „უშრობს“; 24. „თეთრი გიას“ სახელმწიფო ევროპაში; 26. აღმოსაფხვრელი დეფექტი, რომელსაც ზოგიერთ კაცს ვერ უპოვი.

მწოლიარედ: 3. „გულით დასაჯერებელი“ ამბების მომყოლი „გიგანტი“ მამაკაცი (რუს. ნაწ. კავშ.); 9. „როლში“ შეჭრილი საიდუმლო სიტყვა; 10. „ცერით“ სამართავი ლითონის ბადიანი მოწყობილობა ფხვიერი მასის დასახარისხებლად; 11. „გვარზე მოხტუნავე“ ცხენის ნაშიერი; 12. ამინდის „მეტრებში“ საზომი მოწყობილობა; 13. ქალი, რომელსაც „მზე“ და მთვარე ამოსდის მარგარინ „ონაზე“ (სახელი); 15. „ბოსების“ კუთვნილი საქონლის სადგომი; 16. „კრედიტის“ გაცემა ჟურნალისტებზე; 18. აგრესიული პოლიტიკა წყალსადენის „მილებისაგან“ დამზადებული „ტარებით“; 23. ბოლო კბილში მოთავსებული „დიდი ცოდნა“; 25. სახელმწიფო, რომელიც „დანისთან“ მდინარე „იორითაა“ დაკავშირებული; 27. „მარილიანი“ გამათეთრებელი სარეცხი ფხვნილი; 28. ჯინის, ლამპარის ტყვეობიდან მხსნელი ზღაპრული გმირი (სახელი); 29. კუბოს საჭედი ქიმიური ელემენტი მენდელეევის პერიოდულ სისტემაში; 30. „გიას ცხვირის“ ლტოლვა სამშობლოსაკენ; 31. „ელიკოს“ საყვარელი ფოტოაპარატი; 32. „ციდან“ მოვლენილი „იასავით“ ლამაზი გოგონა (სახელი).

გია სუხიშვილს

ძვირფასო გია, გილოცავ სადღეთო დღესასწაულ გიორგობას. მრავალს დაესწარი შენს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

შენი „ბებიკა“


განცხადებები

სასწრაფოდ და იაფად იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ,სუფთა ბინა ტელეფონით, ჩაშენებული კარადებით, რკინის კარებით, შუქი და წყალი მუდმივია. წერეთელზე 8 სართულიანებში მესამე სართულზე, გამოფენის წინ. დაგვირეკეთ 67 - 63 - 76

იყიდება ან იცვლება ნაწილობრივ სარემონტო ოთხოთახიანი კერძო ბინა (10--12-ზე)ეზოში ყველანაირი მსხმოიარე ხილით.პროექტით გათვალისწინებულია მეორე სართულიც. დენი და წყალი მუდმივად. მეტრო ახმეტელთან 5 წუთის სავალზე. საკონტაქტო ტელეფონი 73--91--40

გაზეთ ,,საქართველო“-ს კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაკაბადონებას, სწრაფად და ხარისხიანად, თანაც, რაც მთავარია, მისაღებ ფასებში

8 გვერდიანი A3 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 50 ლარი თითოეულ ფერად გვერდში +5 ლარი.

4 გვერდიანი A4 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 12 ლარი თითოეულ ფერად გვერდში +3 ლარი.

ქართული წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 13-20 ლარი, სირთულის მიხედვით

უცხოენოვანი წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 15-25 ლარი სირთულის მიხედვით

ჩვენი მისამართია:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5. II სართული, ოთახი №210. ტელ.: 93-20-36, 93-18-41



მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41


გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.